F75ᲐᲐ 6180

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 52 (19194) პარასკევი, 1 მარტი, 1985 წელი. ფასი 3 კაპ.

შევინარჩუნოთ მუშაობის სწრაფი ტემპი

დღეს საკითხი ასე დგას: ხუთწლედის ბედი დამოკიდებულია თითოეულ შრომით კოლექტივზე, თითოეულ დარგზე, თითოეულ რეგიონზე.

ე. შევარდნაძე.

როგორც ცნობილია, ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობამ წარმატებით შეასრულა პროდუქციის გამოშვებისა და რეალიზაციის იანვრის სახელმწიფო გეგმა. დავალების გადამეტებით დამზადდა თითქმის 16 მილიონი მანეთის პროდუქცია და, რაც პრინციპულად უმნიშვნელოვანესია, მიღწეულია წარმოების მოცულობის ზრდის ის დონე, რომელიც აუცილებელია ხუთწლედის უთუო შესრულებისათვის.

ასეთი მიღწევები განაპირობა რესპუბლიკის კვების მრეწველობის, ხორცისა და რძის მრეწველობის, დამზადების სამინისტროების, ღვინისა და ჩაის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტების, აგრეთვე ზოგიერთი სხვა სამინისტროს და, რა თქმა უნდა, საკავშირო დაქვემდებარების გაერთიანებებისა და საწარმოების უმრავლესობის გამართულმა მუშაობამ.

ეს ითქვა კიდეც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს გაფართოებულ სხდომაზე, რომელზეც განიხილეს რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1985 წლის იანვრის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგები და დასახეს მუშაობის მიმართულებანი უახლოესი პერსპექტივისათვის.

ბიუროს სხდომაზე აღინიშნა, რომ ამ საერთო კარგ მაჩვენებლებს ეფარებიან არცთუ ისე ცოტა ჩამორჩენილი საწარმოს კოლექტივები. მათ რომ იანვრის დავალებები შეესრულებინათ, გეგმის გადამეტებით თითქმის ორჯერ მეტ პროდუქციას გამოვუშვებდით და კარგ მარაგნაკეთს შევქმნიდ- [illegible]

წარმოების ტექნიკური დონის ამაღლებასთან დაკავშირებული ღონისძიებები, უნდა განმტკიცდეს ტექნოლოგიური დისციპლინა, გაძლიერდეს ტექნიკური კონტროლის პასუხისმგებლობა. არავითარ შემთხვევაში არ დავთმოთ პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის ბრძოლაში მოპოვებული მოწინავე პოზიციები, განუხრელად ვიზრუნოთ მოსახლეობის საქონლისა და სასურსათო პროდუქციის ხარისხის მკვეთრი გაუმჯობესებისათვის.

მოსკოვის კუიბიშევის საარჩევნო ოლქის ამომრჩევლებისა და მოსკოვის პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელთა კრებაზე ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს სიტყვაში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო შრომის ნაყოფიერების შემდგომ ზრდას. ამ მხრივ ხუთწლედის ოთხ წელიწადში ჩვენი რესპუბლიკის მიღწევები საყოველთაოდ ცნობილია. მნიშვნელოვანი წარმატებანია მოპოვებული შრომის ნაყოფიერების გეგმის გადამეტებით ზრდის მიმართულებით იანვარშიც, მაგრამ ეს გულდამშვიდების უფლებას მაინც არ გვაძლევს. ამავე იანვარში, სამწუხაროდ, ყოველმა მეხუთე საწარმომ შეამცირა შრომის ნაყოფიერების მიღწეული დონე და მათ შორის ბევრია ხილბოსტნეულის მეურნეობის, დამზადებისა და მშენებლობის სამინისტროებისადმი დაქვემდებარებული ორგანიზაცია.

ელექტრო- და თბოენერგიის რაციონალურ გამოყენებასთან ერთად დიდი მომჭირნეობით უნდა ვხარჯოთ ყველა სახეობის მატერიალური რესურსები. ეს ამოცანა დღეს უპირველეს პლანზეა წამოწეული და თუ იგი არ გადაწყდა, ზედმეტია რაი- [illegible]

[illegible]

ხოთ პროდუქციის გამოშვების გეგმის შესრულების მსვლელობა.

გარკვეული წინსვლის მიუხედავად, კვლავ გადაუჭრელი რჩება პროდუქციის ვალდებულებით მიწოდების პრობლემა. მომხმარებელს იანვარში დააკელით 15 მილიონი მანეთის ნაწარმი. ამ მხრივ განსაკუთრებით სცოდავენ მსუბუქი მრეწველობის, ადგილობრივი მრეწველობის, მშენებლობის, საშენ მასალათა სამინისტროები, ღვინის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტის საწარმოები, რუსთავის ქიმიური ბოჭკოს საწარმოო გაერთიანება, ბათუმის ნავთობგადასამუშავებელი ქარხანა. საწარმოთა ხელმძღვანელებმა კარგად იციან, თუ რა ღონისძიებების განხორციელებაა საჭირო სახელშეკრულებო დისციპლინის დაცვისათვის და ყველაფერი უნდა იღონონ მდგომარეობის გამოსასწორებლად.

წლეულს ძალაში შედის პროდუქციის ხარისხის შეფასების ატესტაციის ახალი, მკაცრი პირობები. გარდა ამისა, ყველა უმაღლესი ხარისხის პროდუქციამ უნდა გაიაროს ხელმეორე ატესტაცია. აქედან გასაგებია, რომ უნდა განხორციელდეს

[illegible] შრომითი აქტიურობის ამაღლება, მინდობილი საქმისათვის მათი პასუხისმგებლობის გაძლიერება, შრომის დისციპლინის შემდგომი განმტკიცება. ვიმეორებთ: ყველაფერი უნდა ვიღონოთ პირველი კვარტალის გეგმა-ვალდებულებების უთუო შესრულებისათვის.

ჩვენი რესპუბლიკა ზედიზედ მეთორმეტედ დაჯილდოვდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს, სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით. მაღალი ჯილდო გვავალებს დაუღალავად ვიბრძოლოთ მიმდინარე წლისა და მთლიანად ხუთწლედის დავალებების წარმატებული რეალიზაციისათვის.

სკკპ XXVII ყრილობის, საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობისა და დიადი გამარჯვების 40 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში ყველა სამრეწველო საწარმოს კოლექტივმა, სამშენებლო და სატრანსპორტო ორგანიზაციამ უნდა გამოავლინოს თავისი მაქსიმალური შესაძლებლობანი.

ცნობა საქართველოს სსრ მეცხრამეტე მოწვევის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების არჩევნების შედეგების შესახებ

მონაცემები არჩევნების შედეგების შესახებ იმ მასალების მიხედვით, რომლებიც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებისა და სახალხო დეპუტატთა საოლქო, რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტებისაგან

კვირას 1985 წლის 24 თებერვალს, გაიმართა საქართველოს სსრ მეცხრამეტე მოწვევის სახალხო დეპუტატთა საოლქო, რაიონული, საქალაქო, ქალაქების რაიონული, სადაბო და სასოფლო საბჭოების არჩევნები.

არჩევნებისათვის მზადება მიმდინარეობდა რესპუბლიკის მოსახლეობის დიდი შრომითი და პოლიტიკური აქტიურობის, მეთერთმეტე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის, სკკპ XXVII ყრილობის, საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის, დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 40 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის ფართოდ გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების ვითარებაში.

რესპუბლიკის მშრომელები არჩევნებს შეხვდნენ როგორც დიდ და მნიშვნელოვან მოვლენას ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. საარჩევნო კამპანიის დროს მკაფიოდ გამოვლინდა საბჭოთა წყობილების, სოციალისტური საზოგადოებრივი სისტემის უშრეტი ცხოველმყოფელი ძალა, სოციალისტური დემოკრატიის ძირეული უპირატესობანი, რომლებიც პრაქტიკულად უზრუნველყო- [illegible]

[illegible] სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს წინასაარჩევნო სიტყვით აღფრთოვანებულმა საქართველოს მშრომელებმა ერთხელ კიდევ ცხადყვეს თავიანთი მონოლითური შეკავშირება მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო.

არჩეული არიან: სამხრეთ ოსეთის სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს, 65 რაიონული საბჭოს, 61 საქალაქო საბჭოს, ქალაქების 12 რაიონული საბჭოს, 47 სადაბო და 939 სასოფლო საბჭოს დეპუტატები. სასოფლო საბჭოების ორ საარჩევნო ოლქში არჩევნები არ გამართულა დეპუტატობის კანდიდატთა გარდაცვალების გამო.

საოლქო, რაიონული, საქალაქო, ქალაქების რაიონული, სადაბო და სასოფლო საბჭოების დეპუტატთა არჩევნებში მონაწილეობდნენ ამომრჩევლები (პროცენტობით ამომრჩეველთა საერთო რიცხვიდან):

საოლქო საბჭოსი — 100
რაიონული საბჭოებისა — 99,99
საქალაქო საბჭოებისა — 99,99
ქალაქების რაიონული საბჭოებისა — 99,99
სადაბო საბჭოებისა — 99,98
სასოფლო საბჭოებისა — 99,99

კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებს ხმა მისცეს ამომრჩევლებმა (პროცენტობით კენჭისყრის მონაწილე ამომრჩეველთა საერთო რიცხვიდან):

საოლქო საბჭოსი — 99,98
რაიონული საბჭოებისა — 99,99
საქალაქო საბჭოებისა — 99,99
ქალაქების რაიონული საბჭოებისა — 99,99
სადაბო საბჭოებისა — 100,0
სასოფლო საბჭოებისა — 99,99

დეპუტატობის კანდიდატთა წინააღმდეგ ხმა მისცეს ამომრჩევლებმა (პროცენტობით კენჭისყრის მონაწილე ამომრჩეველთა საერთო რიცხვიდან):

საოლქო საბჭოსი — 0,02
რაიონული საბჭოებისა — 0,01
[illegible]

[illegible]

სულ საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივ საბჭოებში არჩეულია 50.923 დეპუტატი.

დეპუტატთა შორის არიან:

სკკპ წევრები და წევრობის კანდიდატები — 21.326, ანუ 41,9 პროცენტი.

უპარტიოები — 29.597, ანუ 58,1 პროცენტი; მათ შორის:
საკავშირო ალკკ წევრები — 11,748, ანუ 23,1 პროცენტი;
მუშები — 20.553, ანუ 40,4 პროცენტი;
კოლმეურნეები — 14,407, ანუ 28,3 პროცენტი;
ქალები — 25.873, ანუ 50,8 პროცენტი;
17.446 დეპუტატი, ანუ 34,2 პროცენტი 30 წლამდე ასაკისაა.

რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების დეპუტატების შემადგენლობა 57 პროცენტით განახლდა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი.

ცნობა აფხაზეთის ასს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 1985 წლის 24 თებერვალს გამართული არჩევნების შედეგების შესახებ

კვირას, 1985 წლის 24 თებერვალს, აფხაზეთის ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში გაიმართა აფხაზეთის ასსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს არჩევნები.

აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის შეიქმნა 140 საარჩევნო ოლქი, კენჭისყრა ყველა საარჩევნო ოლქში დაიწყო დილის 6 საათზე და დამთავრდა საღამოს 10 საათზე ადგილობრივი დროით.

არჩევნები მოეწყო ყველა საარჩევნო ოლქში, საოლქო საარჩევნო კომისიებმა არჩევნების შესახებ კანონის შესაბამისად დათვალეს ხმები, დაადგინეს ყოველ ოლქში არჩევნების შედეგები და კენჭისყრის შედეგები წარუდგინეს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას.

საოლქო საარჩევნო კომისიების მონაცემებით, ამომრჩეველთა სიებში შეტანილი იყო 326.065 კაცი. მათგან აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნებში მონაწილეობდა 326.058 კაცი, ანუ 99,99 პროცენტი.

[illegible]

აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს ყველა დეპუტატობის კანდიდატმა, რომლებმაც კენჭი იყარეს 140 საარჩევნო ოლქში, მიიღო ხმების აბსოლუტური უმრავლესობა და აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ კანონის 52-ე მუხლის შესაბამისად არჩეული არიან დეპუტატებად.

უდიდესი დამრაზმველი მნიშვნელობა ჰქონდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს წინასაარჩევნო სიტყვას. ეს სიტყვა ავტონომიური რესპუბლიკის მშრომელებმა აღიქვეს როგორც მოქმედების საბრძოლო პროგრამა ხანგრძლივი პერსპექტივისათვის, როგორც კიდევ ერთი დადასტურება იმისა, რომ პარტია დაუცხრომლად ზრუნავს საბჭოთა ხალხის კეთილდღეობისათვის.

აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნებმა ახალი ძალით ცხადყო სოციალისტური დემოკრატიის გამარჯვება, აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მშრომელთა მონოლითური შეკავშირება კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო.

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ 1985 წლის 25 თებერვალს გამართულ სხდომაზე განიხილა საოლქო საარჩევნო კომისიების მასალები ყოველ საარჩევნო ოლქში არჩევნების შედეგების შესახებ და აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ კანონის 54-ე მუხლის საფუძველზე რეგისტრაციაში გაატარა აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს 140-ვე საარჩევნო ოლქში არჩეული დეპუტატები.

[illegible] რტიო — 51, ანუ 36,4 პროცენტი, მათ შორის კომკავშირელი — 23, ანუ 16,4 პროცენტი; 33 დეპუტატი, ანუ 23,6 პროცენტი 30 წლამდე ასაკისაა. აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა შემადგენლობის 66,4 პროცენტი განახლდა.

აფხაზეთის ასსრ უმაღლეს საბჭოში არჩეული ყველა დეპუტატი კომუნისტთა და უპარტიოთა ურღვევი ბლოკის ღირსეული კანდიდატია.

აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისია.

ცნობა აჭარის ასს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 1985 წლის 24 თებერვალს გამართული არჩევნების შედეგების შესახებ

კვირას, 1985 წლის 24 თებერვალს, აჭარის ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში გაიმართა აჭარის ასსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს არჩევნები.

აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის შეიქმნა 110 საარჩევნო ოლქი.

კენჭისყრა საარჩევნო ოლქებში დაიწყო დილის 6 საათზე და დამთავრდა საღამოს 10 საათზე ადგილობრივი დროით.

არჩევნები მოეწყო ყველა საარჩევნო ოლქში. საოლქო საარჩევნო კომისიებმა აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ კანონის შესაბამისად დათვალეს ხმები, დაადგინეს ყოველ ოლქში არჩევნების შედეგები და კენჭისყრის შედეგები წარმოუდგინეს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას.

საოლქო საარჩევნო კომისიების მონაცემებით, სულ აჭარის ასს რესპუბლიკის ამომრჩეველთა სიებში შეტანილი იყო 220.838 კაცი, მათგან აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნებში მონაწილეობდა 220.824 ამომრჩეველი, ანუ 99,99 პროცენტი.

აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებს ყველა ოლქში ხმა მისცა 220.810 ამომრჩეველმა, ანუ 99,99 პროცენტმა.

დეპუტატობის კანდიდატების წინააღმდეგ ხმა მისცა 14 ამომრჩეველმა, ანუ 0,01 პროცენტმა.

დეპუტატობის კანდიდატებმა, რომლებმაც კენჭი იყარეს 110-ვე საარჩევნო ოლქში, მიიღეს ხმების აბსოლუტური უმრავლესობა და უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ კანონის 52-ე მუხლის შესაბამისად არჩეული არიან აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებად.

აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნებმა დამაჯერებლად ცხადყო სოციალისტური დემოკრატიის გამარჯვება, აჭარის ასს რესპუბლიკის მშრომელთა ერთიანობა და შეკავშირება კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო, მათი მზადყოფნა ახალი შრომითი წარმატებებით აღნიშნონ სკკპ XXVII ყრილობა, საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობა, დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 40 წლისთავი, განახორციელონ ქალაქ მოსკოვის კუიბიშევის საარჩევნო ოლქის ამომრჩევლებთან შეხვედრაზე ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს წინასაარჩევნო სიტყვაში ჩამოყალიბებული დებულებები და დასკვნები.

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ თავის სხდომაზე განიხილა საოლქო საარჩევნო კომისიების მასალები ყოველ საარჩევნო ოლქში არჩევნების შედეგების შესახებ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ კანონის 28-ე მუხლის საფუძველზე რეგისტრაციაში გაატარა აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ყველა საარჩევნო ოლქში არჩეული დეპუტატები.

აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებად აირჩიეს: მუშა — 26, ანუ 23,6 პროცენტი, კოლმეურნე — 29, ანუ 26,4 პროცენტი, ქალი — 45, ანუ 40,9 პროცენტი, სკკპ წევრი და წევრობის კანდიდატი — 69, ანუ 62,7 პროცენტი, უპარტიო — 41, ანუ 37,3 პროცენტი, მათ შორის კომკავშირელი — 22, ანუ 20 პროცენტი; 27 დეპუტატი, ანუ 24,5 პროცენტი 30 წლამდე ასაკისაა.

აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა შემადგენლობის 68,6 პროცენტი განახლდა.

აჭარის ასსრ უმაღლეს საბჭოში არჩეული ყველა დეპუტატი კომუნისტთა და უპარტიოთა ურღვევი ბლოკის ღირსეული კანდიდატია.

აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისია.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

ყურადღება — მიმდინარეობს პირუტყვის გამოზამთრება

წითელწყაროს რაიონმა 1984 წელს თავი გაართვა მეცხოველეობის პროდუქტების სახელმწიფოსათვის მიყიდვის საგეგმო დავალებებს. 1983 წელთან შედარებით გადიდდა ხორცის, რძის, კვერცხის, მატყლის წარმოების მოცულობა, აგრეთვე პირუტყვის პროდუქტიულობის მაჩვენებლები ავდრის მიუხედავად, შესრულდა უხეში და კონცენტრირებული საკვების დამზადების დავალება, რამაც შესაძლებელი გახადა ის, რომ ნორმალურად წარმართულიყო 1984-1985 წლების პირუტყვის გამოზამთრება.

მაგრამ ფერმების უმრავლესობა დროულად არ შეკეთდა და მომზადდა გამოზამთრებისათვის, არ განხორციელებულა კონკრეტული ღონისძიებანი მეცხოველეობის ფერმების კადრებით დაკომპლექტებისათვის. ბევრ ფერმაში სათანადო ყურადღება არ ეთმობა საკვები რესურსების რაციონალურ ხარჯვას, ჰიგიენის წესების დაცვას, არ არის პირუტყვის მოვლა-პატრონობის ჯეროვანი სანიტარიული პირობები. ამის შედეგად გამოზამთრების პირველ პერიოდში მისი მიმდინარეობის 10 ძირითადი მაჩვენებლიდან წინა წელთან შედარებით გაუარესდა 9 მაჩვენებელი. ძროხის საშუალო წველადობა შემცირდა 48 კილოგრამით, ხორცის წარმოება — 187 ტონით, რძისა — 268 ტონით, კვერცხისა — 330 ათასი ცალით, გახშირდა მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის, ღორისა და ცხვრის გაწყდომა.

ამა წლის იანვარში პარტიის წითელწყაროს რაიკომმა, რაიონულმა აგროსამრეწველო გაერთიანებამ და მეურნეობათა ხელმძღვანელებმა განახორციელეს დამატებითი ღონისძიებანი ფერმებში მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ამან შეაჩერა პროდუქტიულობის დაქვეითება და პირუტყვის გაწყდომა.

უნდა აღინიშნოს, რომ რესპუბლიკური ორგანოები ყოველთვის როდი უწევენ რაიონს პრაქტიკულ დახმარებას საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების რთული პრობლემების გადაწყვეტაში. მაგალითად, მეცხოველეობის სადგომები დროულად არ გარემონტდა საშენი მასალების ნაკლებობის გამო. მცირე ზარალი როდი მოაქვს ელექტროენერგიის ხშირ გამორთვას. გადაუჭრელია ბევრი ფერმის სასმელი და ტექნიკური წყლით უზრუნველყოფის პრობლემა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა რაიონში პირუტყვის გამოზამთრების მიმდინარეობა და მიიჩნია, რომ პარტიული, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო ორგანოების, საზოგადოებრივი მეურნეობების პირველადი პარტიული ორგანიზაციების მიერ გაწეული მუშაობა არ არის საკმარისი და სრულად არ შეესაბამება „1984-1985 [illegible]

[illegible]

(საქინფორმი).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

საოლქო გაზეთის „სოვეტონ ირისტონის" („საბჭოთა ოსეთი") საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა კომუნისტურ აღზრდაში, სახელმწიფო დავალებათა და სოციალისტურ ვალდებულებათა შესასრულებლად შრომითი კოლექტივების დარაზმვაში აქტიური მონაწილეობისათვის და პირველი ნომრის გამოსვლის 60 წლისთავთან დაკავშირებით საოლქო გაზეთი „სოვეტონ ირისტონი" დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი.

1985 წლის 27 თებერვალი.

კ. უ. ჩერნენკოს გადაეცა

რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად არჩევის მოწმობა

მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოებისა და ადგილობრივი საბჭოების არჩევნებმა ცხადყო საბჭოთა ადამიანების დიდი პოლიტიკური აქტიურობა, პარტიისა და ხალხის ურღვევი ერთიანობა. არჩევნები გახდა ახალი დამაჯერებელი დადასტურება იმისა, რომ საბჭოთა ხალხი სავსებით უჭერს მხარს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკას, რომლის მიზანია ქვეყანაში განვითარებული სოციალიზმის სრულყოფა, აღმშენებლობა და მშვიდობა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს კ. უ. ჩერნენკოს 28 თებერვალს გადაეცა რუსეთის სფსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად არჩევის მოწმობა.

მოწმობა გადასცა ქალაქ მოსკოვის კუიბიშევის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ი. ი. კალინინმა.

მოწმობა რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად არჩევის მოწმობის მიღებისას, ამხანაგმა კ. უ. ჩერნენკომ გულითადი მადლობა გადაუხადა დედაქალაქის კუიბიშევის რაიონის ამომრჩევლებს დიდი ნდობისათვის. მან თქვა, რომ დეპუტატობა დიდი პატივია, რომლის გამართლებასაც იგი ეცდება.

ამხანაგმა კ. უ. ჩერნენკომ აღნიშნა, რომ ამ არჩევნების, მთელი წინასაარჩევნო კამპანიის დროს უაღრესად საქმიანი ვითარება სუფევდა, მშრომელები მეტ მომთხოვნელობას იჩენდნენ თავიანთი დეპუტატებისადმი. ეს ძალზე ჯანსაღი, სწორი ტენდენცია მოწმობს, რომ ცენტრალური კომიტეტის 1984 წლის აპრილის პლენუმზე მიღებული ღონისძიებები საბჭოების მუშაობის გაუმჯობესებისათვის, ნაყოფს იძლევა.

კარგია, რომ ჩვენი საბჭოები ახლა უფრო ფართოდ იყენებენ თავიანთ უფლებებს სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვების გადიდებისა და ხარისხის გაუმჯობესებისათვის, ხაზგასმით აღნიშნა კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკომ. ისინი სულ უფრო აქტიურ როლს ასრულებენ სასკოლო რეფორმის განხორციელების, ჩვენი საკანონმდებლო ორგანოების საქმიანობისადმი კონტროლის, დისციპლინისა და წესრიგის განმტკიცების, მრავალი სხვა ისეთი საკითხის გადაწყვეტის საქმეში, რომლებიც ეხება ადამიანების შრომისა და ცხოვრების პირობებს. ეს გეზი უნდა დავამკვიდროთ და განვავითაროთ.

მეტი ინიციატივა, მეტი შეუპოვრობა ყოველდღიურ ორგანიზატორულ მუშაობაში — აი რისთვის უნდა ვილვწოდეთ ყველანი. ეს განსაკუთრებით საჭიროა ახლა, როცა პარტია ეგებება თავის XXVII ყრილობას.

მოწმობის გადაცემას დაესწრნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ვ. გრიშინი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის თანაშემწე ვ. ვ. პრიბიტკოვი, პარტიის კუიბიშევის რაიკომის პირველი მდივანი ი. ა. პროკოფიევი.

(საქდესი).

სურათზე: მოწმობის გადაცემის დროს.

საქდეს-საქინფორმის ტელეფოტო.

სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების არჩევნების შედეგები

24 თებერვალს თხუთმეტივე მოკავშირე რესპუბლიკაში მოეწყო სახალხო დეპუტატთა სამხარეო, საოლქო, საოკრუგო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნები. ყველგან აღინიშნებოდა ამომრჩეველთა დიდი აქტიურობა. ამომრჩეველთა 99 პროცენტზე მეტი მონაწილეობდა კენჭისყრაში.

რუსეთის სფს რესპუბლიკის ადგილობრივ საბჭოებში აირჩიეს 1147948 დეპუტატი. მათ შორის: 48,8 პროცენტი მუშები, 19,1 პროცენტი კოლმეურნეები, 42,5 პროცენტი სკკპ წევრები და წევრობის კანდიდატები, 57,5 პროცენტი უპარტიოები, 50,9 პროცენტი ქალები. 34,4 პროცენტი 30 წლამდე ასაკის დეპუტატები არიან. დეპუტატთა შემადგენლობა 48,8 პროცენტით განახლდა.

უკრაინის სს რესპუბლიკაში ადგილობრივ საბჭოებში აირჩიეს 526270 დეპუტატი. მათ შორის: 34,3 პროცენტი მუშები, 38,3 პროცენტი კოლმეურნეები, 43,5 პროცენტი სკკპ წევრები და წევრობის კანდიდატები, 56,5 პროცენტი უპარტიოები, 49,6 პროცენტი ქალები. 33,3 პროცენტი 30 წლამდე ასაკის დეპუტატები არიან. დეპუტატთა შემადგენლობა 42,4 პროცენტით განახლდა.

ბელორუსიის სს რესპუბლიკაში აირჩიეს 85569 დეპუტატი. მათ შორის: 41,3 პროცენტი მუშები, 27,6 პროცენტი კოლმეურნეები, 42,7 პროცენტი სკკპ წევრები და წევრობის კანდიდატები, 57,3 პროცენტი უპარტიოები, 49,9 პროცენტი ქალები. 33,9 პროცენტი 30 წლამდე ასაკის დეპუტატები არიან. დეპუტატთა შემადგენლობა 50,6 პროცენტით განახლდა.

104512 დეპუტატი აირჩიეს **უზბეკეთის სს რესპუბლიკის** ადგილობრივ საბჭოებში. არჩეულ დეპუტატთა შორის 39,4 პროცენტი მუშებია, 29,9 პროცენტი — კოლმეურნეები, 43,4 პროცენტი — სკკპ წევრები და წევრობის კანდიდატები, 56,6 პროცენტი — უპარტიოები, 49,4 პროცენტი — ქალები. 35,1 პროცენტი 30 წლამდე ასაკის დეპუტატები არიან. დეპუტატთა შემადგენლობა 46,9 პროცენტით განახლდა.

ყაზახეთის სს რესპუბლიკის ადგილობრივ საბჭოებში აირჩიეს 130130 დეპუტატი. მათ შორის: 59,9 პროცენტი მუშები, 8,9 პროცენტი კოლმეურნეები, 42,0 პროცენტი სკკპ წევრები და წევრობის კანდიდატები, 58,0 პროცენტი უპარტიოები, 49,7 პროცენტი ქალები. 33,8 პროცენტი 30 წლამდე ასაკის დეპუტატები არიან. დეპუტატთა შემადგენლობა 49,0 პროცენტით განახლდა.

აზერბაიჯანის სს რესპუბლიკაში არჩეულ დეპუტატთა რიცხვმა 51477 კაცი შეადგინა. მათ შორის 44,0 პროცენტი მუშებია, 23,2 პროცენტი — კოლმეურნეები, 44,2 პროცენტი — სკკპ წევრები და წევრობის კანდიდატები, 55,8 პროცენტი — უპარტიოები, 48,1 პროცენტი — ქალები. 33,4 პროცენტი 30 წლამდე ასაკის დეპუტატები არიან. დეპუტატთა შემადგენლობა 51,7 პროცენტით განახლდა.

28423 დეპუტატი არჩიეს **ლიტვის სს რესპუბლიკის** ადგილობრივ საბჭოებში. არჩეულ დეპუტატთა შორის 37,9 პროცენტი მუშებია, 30,3 პროცენტი — კოლმეურნეები, 43,3 პროცენტი — სკკპ წევრები და წევრობის კანდიდატები, 56,7 პროცენტი — უპარტიოები, 50,2 პროცენტი — ქალები. 36,4 პროცენტი 30 წლამდე ასაკის დეპუტატები არიან. დეპუტატთა შემადგენლობა 47,3 პროცენტით განახლდა.

მოლდავეთის სს რესპუბლიკის ადგილობრივ საბჭოებში აირჩიეს 38119 დეპუტატი. მათ შორის: 37,8 პროცენტი მუშები, 32,9 პროცენტი კოლმეურნეები, 43,2 პროცენტი სკკპ წევრები და წევრობის კანდიდატები, 56,8 პროცენტი უპარტიოები, 50,4 პროცენტი ქალები. 38,4 პროცენტი 30 წლამდე ასაკის დეპუტატები არიან. დეპუტატთა შემადგენლობა 42,7 პროცენტით განახლდა.

ლატვიის სს რესპუბლიკის ადგილობრივ საბჭოებში აირჩიეს 23385 დეპუტატი. მათ შორის: 40,6 პროცენტი მუშები, 26,9 პროცენტი კოლმეურნეები, 44,9 პროცენტი სკკპ წევრები და წევრობის კანდიდატები, 55,1 პროცენტი უპარტიოები, 49,9 პროცენტი ქალები. 34,3 პროცენტი 30 წლამდე ასაკის დეპუტატები არიან. დეპუტატთა შემადგენლობა 44,7 პროცენტით განახლდა.

ყირგიზეთის სს რესპუბლიკაში არჩეულ დეპუტატთა რიცხვმა 28014 კაცი შეადგინა. მათ შორის 44,7 პროცენტი მუშებია, 24,5 პროცენტი — კოლმეურნეები, 43,5 პროცენტი — სკკპ წევრები და წევრობის კანდიდატები, 56,5 პროცენტი — უპარტიოები, 50,1 პროცენტი — ქალები. 36,2 პროცენტი 30 წლამდე ასაკის დეპუტატები არიან. დეპუტატთა შემადგენლობა 46,4 პროცენტით განახლდა.

27754 დეპუტატი აირჩიეს **ტაჯიკეთის სს რესპუბლიკის** ადგილობრივ საბჭოებში. არჩეულ დეპუტატთა შორის 43,7 პროცენტი მუშებია, 26,5 პროცენტი — კოლმეურნეები, 42,8 პროცენტი — სკკპ წევრები და წევრობის კანდიდატები, 57,2 პროცენტი — უპარტიოები, 50,0 პროცენტი — ქალები. 40,1 პროცენტი 30 წლამდე ასაკის დეპუტატები არიან. დეპუტატთა შემადგენლობა 49,8 პროცენტით განახლდა.

სომხეთის სს რესპუბლიკის ადგილობრივ საბჭოებში აირჩიეს 27441 დეპუტატი. მათ შორის: 50,6 პროცენტი მუშები, 19,2 პროცენტი კოლმეურნეები, 43,2 პროცენტი სკკპ წევრები და წევრობის კანდიდატები, 56,8 პროცენტი უპარტიოები, 49,9 პროცენტი ქალები. 34,1 პროცენტი 30 წლამდე ასაკის დეპუტატები არიან. დეპუტატთა შემადგენლობა 53,0 პროცენტით განახლდა.

თურქმენეთის სს რესპუბლიკის ადგილობრივ საბჭოებში აირჩიეს 23654 დეპუტატი. მათგან — 32,6 პროცენტი მუშები, 37,1 პროცენტი კოლმეურნეები, 43,1 პროცენტი სკკპ წევრები და წევრობის კანდიდატები, 56,9 პროცენტი უპარტიოები, 49,9 პროცენტი ქალები. 34,4 პროცენტი 30 წლამდე ასაკის დეპუტატები არიან. დეპუტატთა შემადგენლობა 46,9 პროცენტით განახლდა.

ესტონეთის სს რესპუბლიკაში არჩეულ დეპუტატთა რიცხვმა 11084 კაცი შეადგინა. მათ შორის 47.2 პროცენტი მუშებია, 20,5 პროცენტი — კოლმეურნეები, 45,2 პროცენტი — სკკპ წევრები და წევრობის კანდიდატები, 54,8 პროცენტი — უპარტიოები, 49,9 პროცენტი — ქალები. 35,8 პროცენტი 30 წლამდე ასაკის დეპუტატები არიან. დეპუტატთა შემადგენლობა 50,9 პროცენტით განახლდა. (საქდესი).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

დაისაჯნენ ვაგონების მოცდენისათვის

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა საწარმოებისა და ორგანიზაციების მისასვლელ გზებზე რკინიგზის ვაგონების გადმოტვირთვის მდგომარეობის საკითხი. მიღებულ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ რესპუბლიკის სხვადასხვა სამინისტროს და უწყების, ქალაქისა და რაიონის საწარმოების მეტი წილი ხელმძღვანელები პასუხისმგებლობით მოეკიდნენ გართულებულ ზამთრის პირობებში რესპუბლიკის ტრანსპორტის შეუფერხებელი მუშაობის უზრუნველყოფისა და ვაგონების გადმოტვირთვის თაობაზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მოთხოვნათა შესრულებას. ამის შედეგად რესპუბლიკაში მკვეთრად შემცირდა იმ ვაგონების რიცხვი, რომლებიც დროულად ვერ გადმოტვირთეს. მაგალითად, 18 თებერვალს გადმოუტვირთავი იყო 223, 19 თებერვალს — 202, 20 თებერვალს — 155, 21 თებერვალს — 128, 22 თებერვალს — 78 და 23 თებერვალს — 60 ვაგონი. მაგრამ ცალკეული საწარმოების, ორგანიზაციებისა და რეგიონების ხელმძღვანელებს არ გამოუტანიათ შესაბამისი დასკვნები და არ გარდაუქმნიათ თავიანთი მუშაობა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მოთხოვნათა შესაბამისად.

კერძოდ, როგორც საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის მიერ მოწყობილმა შემოწმებამ ცხადყო, რესპუბლიკის საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს აჯამეთის სილიკატური აგურის ქარხანაში (დირექტორი — ნ. პ. ნემსიწვერიძე, პარტორგანიზაციის მდივანი — ლ. ი. დანელია) თებერვლის 20 დღეში გადმოუტვირთავი დარჩა 39 ვაგონი, ხოლო საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 3 ტრესტის თბილისის სამრეწველო საწარმოთა კომბინატში (დირექტორი — შ. ი. მარგალიტაძე, პარტორგანიზაციის მდივნის მოადგილე — გ. ნ. ტყეშელაშვილი) — 38 ვაგონი.

თუმცა საქართველოს კომპარტიის თერჯოლის რაიკომი (მეორე მდივანი ა. ნ. ქამაკაშვილი) და საქართველოს კომპარტიის თბილისის პირველი მაისის რაიკომი (მეორე მდივანი ბ. ბ. სიჭინავა) გარკვეულ ღონისძიებებს ახორციელებენ ვაგონების დაჩქარებული გადმოცლისათვის, მათი შედეგიანობა ჯერ კიდევ დაბალია.

მშენებლობის სამინისტრო (მინისტრის მოადგილე — ა. ნ. გლურჯიძე) და საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრო (მინისტრის მოადგილე — ი. გ. ხელაშვილი) არ ახორციელებენ ქმედით ღონისძიებებს, რათა განავითარონ სატრანსპორტო საამქროები, გააუმჯობესონ მისასვლელი გზების მდგომარეობა, მექანიზებული გახადონ დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოები. რიონისა და თბილისის სატვირთო სადგურების უფროსებმა რ. ა. ქორქოლიანმა და გ. ი. ცხადაძემ, დაუდევარი ტვირთმიმღებების მიმართ ოპერატიული ღონისძიებების განხორციელების ნაცვლად, სცადეს მიეჩქმალათ ზენორმატიული მოცდენის ფაქტები. მაგალითად, სადგურ რიონში 21 თებერვლისათვის გადმოუტვირთავი ვაგონების შესახებ ოპერატიულ ცნობაში აღნიშნული იყო 6 ვაგონი, ფაქტობრივად კი იყო 14. თბილისის სატვირთო სადგურში 17 და 20 თებერვლის ცნობებში საერთოდ არ იყო მითითებული შესაბამისად 8 და 2 გადმოუტვირთავი ვაგონი.

ჯერ კიდევ მთელ რიგ შემთხვევებში საკმარისად დამრაზმველ როლს ვერ ასრულებენ ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოები ვაგონების გადმოტვირთვის, რკინიგზის ტრანსპორტის ნორმალური ფუნქციონირების საჭირო პირობების შექმნის დროს.

რკინიგზის ვაგონების გამოყენებისადმი უპასუხისმგებლო, დაუდევარი დამოკიდებულებისათვის, რის შედეგადაც დაშვებულია მათი დიდი მოცდენა, რესპუბლიკის საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს აჯამეთის სილიკატური აგურის ქარხნის დირექტორს, სკკპ წევრს ნ. პ. ნემსიწვერიძეს გამოუცხადეს სასტიკი საყვედური პირად ბარათში შეტანით. იგი განთავისუფლებულია თანამდებობიდან. ცნობად არის მიღებული, რომ რესპუბლიკის მშენებლობის სამინისტროს № 3 ტრესტის თბილისის სამრეწველო საწარმოთა კომბინატის დირექტორი შ. ი. მარგალიტაძე განთავისუფლებულია თანამდებობიდან.

რკინიგზის ვაგონების დროული გადმოტვირთვისადმი არასაკმარისი კონტროლის, მთელ რიგ საწარმოებში სატრანსპორტო საამქროების განვითარებისადმი ყურადღების შენელების გამო მშენებლობისა და საშენ მასალათა მრეწველობის მინისტრების მოადგილეებს, სკკპ წევრებს ა. ნ. გლურჯიძესა და ი. გ. ხელაშვილს გამოეცხადათ საყვედურები;

პარტიის თერჯოლისა და თბილისის პირველი მაისის რაიკომების მდივნები ა. ნ. ქამაკაშვილი და ბ. ბ. სიჭინავა მკაცრად არიან გაფრთხილებული;

რიონისა და თბილისის სატვირთო სადგურების უფროსების პასუხისმგებლობის საკითხი გადაეცათ ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტსა და თერჯოლის რაიკომს შესაბამისი ზომების მისაღებად.

დასახულია ვაგონების გადმოტვირთვის ორგანიზაციაში ნაკლოვანებათა აღმოფხვრის სხვა ღონისძიებებიც. (საქინფორმი).

საზღვარგარეთში

ფაქტები მოვლენები

28 თებერვალი ■ საქდესი იუწყება

შეხვედრები იტალიაში

რომი. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო კვირინალის სასახლეში შეხვდა იტალიის რესპუბლიკის პრეზიდენტს ა. პერტინის.

მეგობრული საუბრის დროს ა. ა. გრომიკო იტალიის სახელმწიფოს მეთაურს მიესალმა და ყოველივე საუკეთესო უსურვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის კ. უ. ჩერნენკოს სახელით. ა. პერტინიმ გულწრფელი მადლობა გადაიხადა და თავის მხრივ კ. უ. ჩერნენკოს სალამი და საუკეთესო სურვილები შეუთვალა.

საუბრის დროს ა. ა. გრომიკომ აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირში იცნობენ და დიდად აფასებენ იტალიის პრეზიდენტის, წარსულში იტალიის წინააღმდეგობის მოძრაობის მონაწილის გამონათქვამებს, რომლებშიც აღნიშნულია საბჭოთა კავშირის გადამწყვეტი როლი მეორე მსოფლიო ომში ნაციზმსა და ფაშიზმზე გამარჯვებაში. ხაზგასმით აღინიშნა, რომ გამარჯვების მომავალ 40 წლისთავს ფართოდ აღნიშნავენ მთელი მშვიდობისმოყვარე ძალები.

ა. ა. გრომიკომ და ა. პერტინიმ მხარი დაუჭირეს მსოფლიოში დაძაბულობის შენელების, სახელმწიფოთა ურთიერთობაში ნდობის განმტკიცების მიმართულებით კონკრეტული ნაბიჯების გადადგმას.

ამასთან დაკავშირებით ა. პერტინიმ გამოთქვა იმედი, რომ კოსმოსური და ბირთვული შეიარაღების შესახებ საბჭოთა კავშირამერიკის მომავალი მოლაპარაკება გაიმართება საქმიან და კონსტრუქციულ ატმოსფეროში და მას მოჰყვება ურთიერთმისაღები მორიგებანი, რაც დადებითს გავლენას მოახდენს ვითარებაზე მთელ მსოფლიოში.

ორივე მხარემ განაცხადა, რომ მზად არიან კვლავაც განავითარონ სსრ კავშირისა და იტალიის, საბჭოთა და იტალიელი ხალხების ყოველმხრივი კავშირურთიერთობა.

ა. პერტინიმ საუზმე გაუმართა ა. ა. გრომიკოს, საუზმის დროს მხარეებმა მოკლე, მეგობრული სიტყვები წარმოთქვეს.

• • •

ა. ა. გრომიკო ესაუბრა იტალიის კომუნისტური პარტიის გენერალურ მდივანს ა. ნატას და იტალიის კომპარტიის ხელმძღვანელობის წევრებს.

საუბრის დროს, რომელმაც ამხანაგურ ვითარებაში ჩაიარა, მხარეებმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრი ორივე პარტიისათვის საინტერესო საკითხებზე. განიხილეს მშვიდობისათვის, გამალებული შეიარაღების, უწინარეს ყოვლისა, კოსმოსური და ბირთვული შეიარაღების ალაგმვისათვის, ხალხთა უშიშროების განმტკიცებისათვის, საერთაშორისო ცხოვრებაში დაძაბულობის შენელების პროცესის აღსადგენად ღონისძიებათა გამრავლებისათვის ბრძოლის პრობლემები.

საუბარს დაესწრო სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატი, სსრ კავშირის ელჩი იტალიაში ნ. მ. ლუნკოვი.

• • •

იმავე დღეს ა. ა. გრომიკო ეწვია ვატიკანს და ესაუბრა იოანე პავლე მეორეს.

საუბრის დროს განიხილეს მშვიდობის განმტკიცებისათვის, კოსმოსში გამალებული შეიარაღების თავიდან აცილებისა და დედამიწაზე მისი შეწყვეტისათვის მეცადინეობის აუცილებლობასთან დაკავშირებული საკითხები.

• • •

27 თებერვალს საღამოს სსრ კავშირის ელჩმა იტალიაში ნ. მ. ლუნკოვმა დარბაზობა გაუმართა ა. ა. გრომიკოს, რომელმაც მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

დარბაზობის დროს ქალაქ რომის მერმა უ. ვეტერემ ა. ა. გრომიკოს გადასცა რომის მუნიციპალიტეტის გადაწყვეტილება ქალაქის ერთ-ერთი ქუჩისათვის ვლადიმერ ილიას ძე ლენინის სახელის მინიჭების შესახებ.

ა. ა. გრომიკო მადრიდს გაემგზავრა

რომი. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო დღეს რომიდან მადრიდს გაემგზავრა. იგი იტალიაში ოფიციალურ ვიზიტად იყო იტალიის მთავრობის მიწვევით.

დედაქალაქის აეროპორტში საპატიო საბჭოთა სტუმარი გააცილეს იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჯ. ანდრეოტიმ, სხვა ოფიციალურმა პირებმა, აგრეთვე სსრ კავშირის ელჩმა იტალიაში ნ. მ. ლუნკოვმა.

ბელგია

საკითხები ვერ გადაჭრეს

ბრიუსელი. პარტნიორებს შორის მწვავე უთანხმოების გამო გადაუჭრელი დარჩა მრავალი საკითხი, რომლებსაც განიხილავდნენ ევროპის ეკონომიკური გაერთიანების მინისტრების საბჭოს აქ გამართულ სესიაზე სოფლის მეურნეობის მინისტრთა დონეზე.

სესიის მონაწილეებმა მოლაპარაკების დროს ვერ შესძლეს შეთანხმება 1985-86 წლების მოსავლის სოფლის მეურნეობის პროდუქციის შესასყიდი ფასების თაობაზე. ევროპის ეკონომიკური გაერთიანების წევრი სახელმწიფოების დიდი უმრავლესობა უარყოფს ევროპის გაერთიანებათა კომისიის წინადადებას იმის შესახებ, რომ ეს ფასები გაყინონ შარშანდელ დონეზე. მიუღებლად მიაჩნია იგი მილიონობით დასავლეთევროპელ გლეხსაც, რომლებიც ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ სიძვირის განუწყვეტელი ზრდის პირობებში ასეთი გადაწყვეტილება მათ დიდ ზარალს მიაყენებს და ბევრი მათგანის გაკოტრებას გამოიწვევს. ვინაიდან ევროპის გაერთიანებათა კომისია კვლავ ჯიუტად იცავდა თავის წინადადებას, მინისტრები იძულებული გახდნენ ამ პრობლემის განხილვა შემდეგ შეხვედრამდე გადაედოთ.

აშშ

დ. ლონგის განცხადება

სან-ფრანცისკო. „არ გვინდა ბირთვული იარაღი ჩვენს მიწა-წყალზე და ჩვენს ნავსადგურებში, — განაცხადა ახალი ზელანდიის პრემიერ-მინისტრმა დევიდ ლონგიმ, ლოს-ანჯელესში ახალი ზელანდიისა და ამერიკის შეერთებული შტატების საქმიანი წრეების წარმომადგენელთა წინაშე გამოსვლისას. — ჩვენ სავსებით გარკვევით დავანახვეთ ყველას, რომ ჩვენს ხალხს არ სურს რაიმე საერთო ჰქონდეს ბირთვულ შეიარაღებასთან“.

„ჩვენ არ ვითხოვთ და არც ველით, რომ შეერთებულმა შტატებმა მხარი დაგვიჭიროს თავისი ბირთვული იარაღით“. ანზიუსის სამხედრო ბლოკი, რომელშიც ახალი ზელანდია შედის ამერიკის შეერთებულ შტატებთან და ავსტრალიასთან ერთად, ნატოსაგან განსხვავებით, „უბირთვო“ ბლოკია, აღნიშნა დ. ლონგიმ.

პრემიერ-მინისტრი შეეხო რეიგანის ადმინისტრაციის მიერ განხორციელებულ ღონისძიებებს, რომელთა მიზანი იყო „დაესაჯა“ ახალი ზელანდია იმის გამო, რომ აკრძალა თავისი ქვეყნის ნავსადგურებსა და ტერიტორიულ წყლებში ბირთვულიარაღიანი გემების შესვლა და ამასთანავე „ჭკუა ესწავლებინა“ სხვა ქვეყნებისათვის, სადაც ძლიერია ანტიბირთვული მოძრაობა, და თქვა: „ვწუხვარ, რომ ახორციელებენ ისეთ ღონისძიებებს, რომლებიც ჩვენ გარკვეულ ზიანს მოგვაყენებს“.

დაარღვიეს საჰაერო სივრცე

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პროტესტი

ბერლინი. როგორც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრესის სააგენტო იუწყება, 24 თებერვალს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ერთმოტორიანმა თვითმფრინავმა დაარღვია გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საჰაერო სივრცე ქალაქ აშერსლებენის რაიონში.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მუდმივმა წარმომადგენელმა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ამასთან დაკავშირებით პროტესტი განუცხადა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფედერალური კანცლერის უწყებას. საჰაერო სივრცის ამგვარი დარღვევები, აღნიშნულია ცნობაში, ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლის ნორმებს. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მუდმივმა წარმომადგენელმა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში გამოთქვა იმედი, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კომპეტენტური ორგანოები განახორციელებენ ქმედით ღონისძიებებს მომავალში ამგვარი შემთხვევების თავიდან ასაცილებლად.

ფოტორეპორტაჟი

ჰონდურასი

სამხედრო ბაზების მარწუხებში

ცენტრალური ამერიკის ამ ქვეყანას დასავლეთ ნახევარსფეროში ერთ-ერთი ბოლო ადგილი უჭირავს მოსახლეობის ცხოვრების დონის მიხედვით. ქვეყნის გლეხების 75 პროცენტი სიღარიბის ოფიციალურ ზღვარზე უარესად ცხოვრობს. ყოველი ასი ბავშვიდან 76 შიმშილობს. აქ ყოველი მეხუთე შრომისუნარიანი უმუშევარია. მიუხედავად ამისა, ეს პრობლემები ნაკლებად აწუხებთ მმართველ წრეებს, რომლებიც ვაშინგტონის მილიტარისტულ ზრახვებს ფარვატერში მისდევენ. ქვეყანა, რომელიც ბოლო ნახევარი საუკუნის მანძილზე უმძიმეს ეკონომიკურ კრიზისს განიცდის, ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ბაზების ფართო ქსელით არის დაფარული და მათი რიცხვი მუდმივად იზრდება.

ვაშინგტონელ სტრატეგთა ინტერესი ამ ქვეყნისადმი შემთხვევითი არ არის. შეერთებული შტატები ვარაუდობს მისი ტერიტორია გამოიყენოს ნიკარაგუის წინააღმდეგ დაგეგმილი აგრესიის პლაცდარმად. ამავე დროს მას არ ავიწყდება თავისი ანგარებითი ინტერესები. ვაშინგტონის ზეგავლენით მარიონეტული რეჟიმი ზრდის სამხედრო ხარჯებს, ათმილიონობით დოლარი იხარჯება უახლესი ამერიკული იარაღის შესყიდვაზე. ქვეყანაში ბატონობენ ამერიკული მონოპოლიები. ისინი ქვეყნის უდიდესი კომპანიების 80 პროცენტს აკონტროლებენ.

სურათებზე: ახალი შეიარაღება ჩაიტანეს ჰონდურასის ამერიკულ ბაზაში; ასეთ მიწურებში ცხოვრობენ ჰონდურასელი ღატაკნი.

საქდესის ფოტო.

პაკისტანი: „დემოკრატიზმის“ ფარსი

საერთაშორისო კომენტარი

როგორც უკვე ცნობილია, პაკისტანში გაიმართა ეროვნული ასამბლეის (პარლამენტის) ეგრეთ წოდებული „არჩევნები“, აგრეთვე ოთხი პროვინციის საკანონმდებლო კრებების არჩევნები, ხოლო მარტის შუა რიცხვებში საკანონმდებლო კრებებმა უნდა აირჩიონ სენატის წევრები. ფედერალური საკონსულტაციო საბჭოს „მაჯლის-ი-შურას“ პირველი სესია, რომელშიც გაერთიანებულია ეროვნული ასამბლეა და სენატი, უნდა მოეწყოს 1985 წლის 23 მარტს. მთელ ამ „წარმოდგენას“, ინგლისის ჟურნალ „ეკონომისტის“ თქმით, „ერთი რეჟისორი“ ჰყავს. ჟურნალმა პაკისტანის არჩევნებისადმი მიძღვნილი სტატია ასე დაასათაურა: „პაკისტანი: ფარდა იხსნება, ზია-ულ-ჰაკი იწყებს საარჩევნო შოუს“.

არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე პაკისტანის სამხედრო ადმინისტრაციის მეთაური გენერალი ზია-ულ-ჰაკი, ქალაქ ლაჰორში გამართულ პრესკონფერენციაზე აცხადებდა, რომ შარშან დეკემბერში გამართული საყოველთაო რეფერენდუმით პაკისტანელმა „ხალხმა“ იგი ქვეყნის პრეზიდენტად აირჩია ხუთი წლის ვადით და ამდენად უფლებამოსილია პირადი შეხედულებისამებრ შეიტანოს ცვლილებები 1973 წელს მიღებულ ქვეყნის კონსტიტუციაში. ხოლო როცა მომავალ არჩევნებს შეეხო, ზია-ულ-ჰაკმა განაცხადა, არჩევნების მშვიდობიან ატმოსფეროში გამართვის მიზნით მთავრობა ახორციელებს ღონისძიებებს „არასასურველი ელემენტების“ იზოლირების მიზნით და ამდენად ქვეყნის პოლიტიკური მოღვაწეების მასობრივი დაპატიმრებანი „აუცილებელი“ ღონისძიება არისო. მაგრამ ის, თუ ვინ უჭერს მხარს ზია-ულ-ჰაკის რეჟიმს და ვინ არიან მისთვის „არასასურველი ელემენტები“, სწორედ რეფერენდუმმა ცხადყო. ინდოეთის გაზეთი „ტელეგრაფი“ წერდა: „პოლიტიკის ისტორიაში იშვიათია უფრო დიდი ფარსი, ვიდრე რეფერენდუმი, რომელიც ზია-ულ-ჰაკმა მოაწყო დემოკრატიის სახელით“. რეფერენდუმის მონაწილეებს უნდა გაეცათ დადებითი ან უარყოფითი პასუხი ერთადერთ კითხვაზე: „იწონებთ თუ არა თქვენ პაკისტანის პრეზიდენტის გენერალ ზია-ულ-ჰაკის მიერ დაწყებულ პროცესს, რომელიც პაკისტანის იდეოლოგიის შენარჩუნების მიზნით ქვეყნის კანონებს წმინდა მოციქულის (ე. ი. მუჰამედის — ავტ.) მიერ ჩამოყალიბებულ ისლამის დოგმებს დაუქვემდებარებს; მხარს უჭერთ თუ არა თქვენ ამ პროცესის შემდგომ გაგრძელებასა და განმტკიცებას?“ ჟურნალი „ეკონომისტი“ კი თავის მხრივ დასძენდა, რომ ეს კითხვა ფაქტობრივად ნიშნავდა: „ყველამ, ვინც ცოდვის წინააღმდეგი ხართ, ხელი ასწიეთ“. ქვეყანაში, სადაც მოსახლეობის უმრავლესობას მუსლიმანები შეადგენენ, ისლამი კი ზია-ულ-ჰაკის „გაურჯულადაც“ გაბატონებულ რელიგიად ითვლება, ძნელია ასეთ კითხვაზე უარყოფითი პასუხი გაცე. სწორედ ამიტომ, მიმომხილველების აზრით, პაკისტანელმა ხალხმა თავისი პასუხი იმით გამოხატა, რომ საერთოდ არ მიიღო მონაწილეობა რეფერენდუმში. რეფერენდუმის შემდეგ მსოფლიოს პრესა აღნიშნავდა, რომ, მთავრობის ყველაზე გაზრდილი მონაცემებითაც კი, მასში ამომრჩეველთა მხოლოდ ათი პროცენტი მონაწილეობდა, ხოლო სინამდვილეში იგი ხუთ-შვიდ პროცენტს შეადგენდა. ამრიგად, აღმოჩნდა, რომ „არასასურველი ელემენტები“ ზია-ულ-ჰაკის რეჟიმისათვის ამომრჩეველთა 90 პროცენტზე მეტი ყოფილა და, როგორც ინდოეთის გაზეთი „პეტრიოტი“ აღნიშნავდა, „ნავთობდოლარებით მდიდარი ჯამაათ-ი-ისლამის პარტიისა და ყოფილი პაკისტანის მუსლიმანური ლიგის პარტიის ერთი ფრაქციის გარდა, ქვეყნის არც ერთი პოლიტიკური პარტია არ უჭერს მხარს პაკისტანის ახლანდელი რეჟიმის პოლიტიკას“. სწორედ ამიტომ ქვეყანაში დემოკრატიის აღდგენის მოძრაობის თერთმეტმა პარტიამ უარი განაცხადა არჩევნებში მონაწილეობაზე. ზია-ულ-ჰაკმა პასუხი არ დააყოვნა და დაერია ოპოზიციონერებს. როიტერის სააგენტოს ცნობით, პენჯაბისა და ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთ პროვინციებში სხვადასხვა პოლიტიკური პარტიისა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ასობით ხელმძღვანელი და აქტივისტი დააპატიმრეს... არჩევნების დღემდე.

აი, რას წერდა ამის თაობაზე ამერიკული „ვაშინგტონ პოსტის“ პაკისტანელი კორესპონდენტი უ. კლეიბორნი: „ყველაზე უცნაური საარჩევნო კამპანიის მოწმე გავხდი, რომელიც კი ოდესმე მინახავს. პოლიტიკურ პარტიებს აეკრძალათ საარჩევნო კამპანიაში მონაწილეობა. აკრძალულია მიტინგები და დემონსტრაციები. ის კანდიდატებიც კი, რომლებიც მონაწილეობენ არჩევნებში როგორც დამოუკიდებელნი, ჩივიან, რომ ხმის ჩახლეჩამდე უწევთ ყვირილი იშვიათ შეკრებებზე, რადგან ხმის გამაძლიერებლებით სარგებლობაც კი აუკრძალეს“.

რეჟიმის პოლიტიკური ოპოზიცია და პაკისტანელი ხალხი უკმაყოფილოა ზია-ულ-ჰაკის სამხედრო რეჟიმის როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკით, რომლებიც მჭიდროდ არიან ერთმანეთთან დაკავშირებული. ამას მოწმობს თუნდაც პაკისტანის კურსი ავღანეთის მიმართ. პაკისტანში აკრძალული თანასწორობის პარტიის ლიდერმა, პენჯაბის პროვინციის ყოფილმა მთავარმა მინისტრმა მოჰამედ ჰანიფ რამაიმ, განაცხადა, რომ ავღანელი კონტრრევოლუციონერების არსებობამ ქვეყანაში ხანგრძლივი ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური პრობლემები წარმოშვა.

ავღანელი კონტრრევოლუციონერების პაკისტანის ტერიტორიაზე ყოფნასთან დაკავშირებულმა წინააღმდეგობებმა ცხადყო, რომ პაკისტანელმა ხალხმა მხარი არ აუბა ეგრეთ წოდებულ „ბრძოლას ავღანეთის განთავისუფლებისათვის“. არა მარტო ოპოზიციის ლიდერები, არამედ რეჟიმის ერთგული მომხრეებიც კი მოითხოვდნენ მოლაპარაკების დაწყებას ავღანეთის მთავრობასთან. პაკისტანის რეჟიმი იძულებული გახდა დაეწყო ასეთი მოლაპარაკება ჟენევაში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის წარმომადგენლის თანდასწრებით. მაგრამ თებერვლის შუა რიცხვებში დანიშნულ მორიგ რაუნდში მონაწილეობაზე პაკისტანის მხარემ უარი განაცხადა და არჩევნების საბაბით მისი მაისში გადატანა მოითხოვა. ამის თაობაზე ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა შ. დოსტმა კორესპონდენტებთან საუბარში აღნიშნა, რომ ჟენევაში მიმდინარე მოლაპარაკებას პრაქტიკულად არავითარი კავშირი არა აქვს პაკისტანის არჩევნებთან, რამეთუ მისი შედეგების მიუხედავად ზია-ულ-ჰაკი, მისივე განცხადების თანახმად, ქვეყნის სათავეში დარჩება. ამდენად პაკისტანის წარმომადგენელს შეეძლო გაეგრძელებინა მოლაპარაკება მისი მთთთებით. სინამდვილეში ვაშინგტონი და მისი მოკავშირეები აიძულებენ პაკისტანს გააჭიანუროს მოლაპარაკება, ხოლო თავის ტერიტორიაზე კვლავ განაგრძოს კონტრრევოლუციური ბანდების მომზადება ავღანეთის წინააღმდეგ „გამოუცხადებელი ომის“ გასაგრძელებლად.

ასეთმა პოლიტიკამ, ცხადია, თავისი დაღი დაასვა „საპარლამენტო არჩევნების“ შედეგებსაც. საინფორმაციო სააგენტოს ცნობით, ქვეყნის დიდ ქალაქებში ხმა მისცა რეგისტრირებულ ამომრჩეველთა მხოლოდ 10 პროცენტმა. რეჟიმის ათასგვარი ხრიკების მიუხედავად, მმართველი ზედაფენის ბევრმა წარმომადგენელმა და ზია-ულ-ჰაკის დამქაშმა მარცხი განიცადა. მათ შორის არიან თავდაცვის მინისტრი ა. ა. თალპური, რელიგიისა და ეროვნულ უმცირესობათა, ინფორმაციისა და რადიომაუწყებლობის მინისტრი რ. ზაფარ-ულ-ჰაკი, სპორტისა და ტურიზმის მინისტრი ა. ნ. მოჰამედი და სხვ. ამიტომ მთავარმა სამხედრო ადმინისტრატორმა ზია-ულ-ჰაკმა მიიღო გადაწყვეტილება დაითხოვოს თავისი კაბინეტი.

კ. ულენტი.

პატივს შრომით მიაგებენ

საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროს საწარმოებმა ხუთწლედის დამდეგიდან დაახლოებით 140 ახალი სახეობის ნაწარმი აითვისეს, თანაც მესამედი — უკანასკნელი რამდენიმე თვის განმავლობაში.

დარგის მრავალათასიან კოლექტივს სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა მიენიჭა გასული წლის შედეგების მიხედვით საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის. სამინისტროს კოლექტივს დროშა გადასცა სსრ კავშირის ხე-ტყის, ცელულოზა-ქაღალდისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის მინისტრის მოადგილემ კ. პროდაიუოდამ.

ჯილდოს გადაცემას დაესწრნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მრეწველობის განყოფილების გამგე ბ. მახარაშვილი და საქართველოს პროფსაბჭოს მდივანი ზ. ლაბაძე. (საქინფორმი).

საქართველოს პროფკავშირები: გავაძლიეროთ გავლენა

დღითი დღე სულ უფრო დიდ გაქანებას იძენს და ფართოვდება რესპუბლიკის მშრომელთა სოციალისტური შეჯიბრება, რომელიც მათ გააჩაღეს სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის. დიდი ვალდებულებების რეალიზაციისათვის პროფკავშირების უშუალო მონაწილეობით დამატებითი რეზერვები გამოძებნა რესპუბლიკის მრავალმა შრომითმა კოლექტივმა.

„დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 40 წლისთავს — ორმოცი დამკვრელური შრომითი კვირა!“ — ასეთი პატრიოტული დევიზით ეწევიან შრომითს ვახტს ასი ათასზე მეტი წარმოების მუშაკი, ცვიდი ათასზე მეტი ბრიგადა, ასობით საამქრო.

ეს ითქვა საქართველოს პროფსაბჭოს პლენუმზე. მისმა მონაწილეებმა განიხილეს რესპუბლიკის პროფკავშირული ორგანიზაციის ამოცანები, რომელთა მიზანია ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს გამოსვლებში ჩამოყალიბებული დებულებებისა და დასკვნების შესაბამისად 1985 წლის სახელმწიფო გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების შესრულებისათვის მშრომელთა დარაზმვა.

მომხსენებელმა — რესპუბლიკის პროფსაბჭოს თავმჯდომარემ თ. ი. მოსაშვილმა, ორატორებმა აღნიშნეს, რომ სოციალისტური შეჯიბრების საფუძველი გახდა მუშათა შრომის ნაყოფიერების ამაღლების პირადი და ბრიგადული გეგმები და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების შემოქმედებითი გეგმები. რესპუბლიკის მშრომელთა ინიციატივიან, თავდადებულ მუშაობას მაღალი შეფასება მისცეს — საქართველოს სს რესპუბლიკა მეთორმეტეჯერ ცნეს საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულად. მაგრამ იმისათვის, რომ დავამკვიდროთ მიღწეული წარმატებები, მივანიჭოთ მას მყარი ხასიათი, საჭიროა სხვა ღონისძიებებთან ერთად ზუსტად განვსაზღვროთ სახალხო მეურნეობის ყველა დარგში პროფკავშირების ძალების გამოყენების, გავლენის ამაღლების კონკრეტული სფეროები. ეს განსაკუთრებით საჭიროა დღეს, როცა საქართველოში ხორციელდება სამეურნეო-ეკონომიკური ექსპერიმენტები. რესპუბლიკის შეჯიბრების ორგანიზაციაში, მისი შედეგების შეფასებისას წარმოების ინტენსიფიკაციასთან ერთად პირველ პლანზე დგება მუშაობის ხარისხობრივი მაჩვენებლები, სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის, შრომის ორგანიზაციის ბრიგადული ფორმების, სამეურნეო ანგარიშის, ეკონომიის უმკაცრესი რეჟიმის დანერგვის ღონისძიებანი. ამასთან დაკავშირებით საჭიროა გადაჭრით ვთქვათ უარი პროფკავშირული მუშაობის მოძველებულ მეთოდებზე, უალრესად კონკრეტული ორიენტირები დავუსახოთ კოლექტივებს შეჯიბრების ისეთი მთავარი მიზნების მისაღწევად, როგორიც არის წარმოების რიტმულობის უზრუნველყოფა, სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულება, ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვა, სამუშაო დროის ყაირათიანი გამოყენება. საჭიროა აგრეთვე უზრუნველვყოთ შრომითი მეტოქეობის საჯაროობა. შევქმნათ თითოეულ შრომითს კოლექტივში შემოქმედების, ამხანაგური ურთიერთდახმარების, მაღალი ორგანიზებულობის ატმოსფერო. განსაკუთრებით საჭიროა ეს თვისებები გამოვავლინოთ სოციალისტური ვალდებულებების შემოწმების დროს. და აქ სრულიად შეუწყნარებელია ლაყბობა და პარადული ხმაური, საჭიროა მუშაობის შედეგების ღრმა, სისტემატური ანალიზი, ეფექტიანი ღონისძიებების გამომუშავება, რომლებიც საშუალებას მოგვცემენ აღმოვფხვრათ შეცდომები, უფრო მკვეთრად დავეყრდნოთ მოწინავე გამოცდილებას.

პლენუმმა მიუთითა პროფკავშირების საბჭოებსა და კომიტეტებს, რამ არსებობს წარმოების მოცულობის გადიდების, შრომის ნაყოფიერების ამაღლების, მატერიალური რესურსების ეკონომიის რეჟიმის გაძლიერების, სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვების გადიდებისათვის შეჯიბრების ქმედითობის ამაღლების რეალური შესაძლებლობანი. პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა უნდა განავითარონ შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულებისათვის მოძრაობა, უფრო აქტიურად შეუწყონ ხელი მისი ორგანიზაციის ბრიგადული ფორმების დანერგვას, გადაჭრით იბრძოლონ შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის.

პროფკავშირების საოლქო საბჭოებს, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს წინადადება მიეცათ აღმზრდელობითი მუშაობის ცენტრი გადაიტანონ უშუალოდ ბრიგადებში, უბნებში, ფერმებში, პროფკავშირულ ჯგუფებში, მიაღწიონ მშრომელთა საქმიანი და საზოგადოებრივი აქტიურობის ამაღლებას. ამასთან დაკავშირებით ხაზგასმით აღინიშნა, რომ საჭიროა განუხრელად ავამაღლოთ ადამიანის აღზრდაზე დამრიგებლების, კომუნისტური შრომის სკოლების, სახალხო უნივერსიტეტების გავლენის ეფექტიანობა. საქმისადმი ასეთი მიდგომის აუცილებლობა ნაკარნახევია იმ ამოცანებით, რომლებიც დაუსახა რესპუბლიკას სოციალური და ეკონომიკური განვითარების 1985 წლის გეგმამ.

პლენუმმა განიხილა რესპუბლიკის პროფესიული კავშირების 1985 წლის ბიუჯეტი და ანგარიში 1983 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

პლენუმზე გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი ბ. ვ. ნიკოლსკი.

განხილულ საკითხებზე მიიღეს შესაბამისი დადგენილებანი.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. ი. ვადაჭკორია.

(საქინფორმი).

დიდი სამამულოს ქრონიკები

აი რას წერდა გაზეთი „კომუნისტი“ 40 წლის წინათ

1945 წლის 22-28 თებერვალი

◆ **სსრ კავშირის** სახალხო კომისართა საბჭო, სსრ კავშირის თავდაცვის სახალხო კომისარიატი და საკავშირო კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ აღმოსავლეთ პრუსიაში ბრძოლის ველზე მიღებული მძიმე ჭრილობებისაგან გარდაიცვალა ბელორუსიის მე-3 ფრონტის სარდალი არმიის გენერალი ივანე დანიელის ძე ჩერნიახოვსკი... მისი სახით სახელმწიფომ დაჰკარგა ერთ-ერთი უნიჭიერესი ახალგაზრდა მხედართუფროსი.

არმიის გენერალი ი. დ. ჩერნიახოვსკი დაიკრძალება მისი ჯარების მიერ განთავისუფლებულ ლიტვის დედაქალაქ ვილნიუსში. იმ ქალაქშივე აიგება სარდლის ძეგლი.

◆ **გებელსი** პროპაგანდის ხარალს საველე სასამართლოთი სცვლის: იმ პირთ, რომლებიც ცდილობენ შეასუსტონ „მესამე იმპერიის“ ძლიერება, მოსპობენ.

◆ **1945 წლის** იანვარ-თებერვალში 40 დღის შეტევის მანძილზე ჩვენმა ჯარებმა გერმანელები განდევნეს 300 ქალაქიდან... დაიკავეს 2.400-ზე მეტი სარკინიგზო სადგური, ხელთ იგდეს 15.000 კილომეტრზე მეტი სიგრძის რკინიგზების ქსელი. ამ მოკლე ხნის განმავლობაში გერმანიამ დაჰკარგა 350.000-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი ტყვეთა სახით და სულ მცირე 800.000 — მოკლულთა სახით.

◆ **ჰიტლერელები** იკვეხნიდნენ, რომ ას წელზე მეტია მტრის არცერთი ჯარისკაცი გერმანიის ფარგლებში არ ყოფილა და რომ გერმანიის არმია ომობდა და იომებს მხოლოდ სხვათა მიწა-წყალზე. ახლა გერმანელთა ამ ტრაბახს ბოლო მოეღო. **ი. სტალინი.**

◆ **ბელორუსიის** პირველი ფრონტის ჯარებმა მთლიანად დაიკავეს ქალაქი და ციხე პოზნანი — გერმანელთა თავდაცვის სტრატეგიული დიდმნიშვნელოვანი კვანძი ბერლინის მიმართულებით. ამ ბრძოლებში თავი გამოიჩინეს აგრეთვე გენერალ-მაიორ კობერიძის ჯარებმა.

◆ **სსრ კავშირის** სახალხო კომისართა საბჭო და საკავშირო კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტი მწუხარებით იუწყებიან გამოჩენილი რუსი მწერლის, მხატვრული სიტყვის უნიჭიერესი ოსტატის, ჩვენი სამშობლოს მგზნებარე პატრიოტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის ალექსი ნიკოლოზის ძე ტოლსტოის გარდაცვალებას.

◆ **საბჭოთა** საქართველოს ოცდაოთხი წელი შეუსრულდა. ქართველი ხალხის ამ დიდ დღესასწაულს ჩვენ აღვნიშნავთ სამამულო ომის ფრონტზე ბრწყინვალე ისტორიულ გამარჯვებათა ვითარებაში. უმაღლესი მთავარსარდლის ბრძანებებით მოსკოვის სალუტები გვამცნობენ ბერლინისაკენ გიგანტური ბრძოლით წითელი არმიის ძლევამოსილ წინსვლას.

◆ **ბელორუსიის** მე-2 ფრონტის ჯარებმა პომერანიის ტერიტორიაზე ბრძოლებით დაიკავეს ქალაქები შლოხაუ, შტეგერსი, ჰამერშტაინი, ბალდენბერგი, გუბლიცი.

◆ **გაზეთი** „ექსპრესი“ (გამოდის ბუფალოში, აშშ) აღნიშნავს, რომ გერმანელების მიერ დაკარგვა ბუდაპეშტისა — უმნიშვნელოვანესი ინდუსტრიული და სატრანსპორტო ცენტრისა, რომელიც ვენის მისადგომებს იფარავს, — უდიდესი კატასტროფაა მათთვის სტალინგრადის შემდეგ.

◆ **სამხედრო- საველე** სასამართლოს დაარსება გამოწვეულია არეულობითა და აჯანყების ცდებით, გერმანიის ჯარის ნაწილებში რომ მოხდა როგორც აღმოსავლეთის, ისე დასავლეთის ფრონტებზე.

◆ **ბერლინიდან** პანიკურმა გაქცევამ მასობრივი ხასიათი მიიღო... ლუბეკის გზაზე ლტოლვილები მიემართებიან კოლონად, რომლის სიგრძე 20 კილომეტრს უდრის. ისინი, რომლებიც აღმოსავლეთიდან გარბიან, თავშესაფარს გერმანიის დედაქალაქში აღარ ეძებენ.

მივართვათ ყვავილი!

ათას ცხრაას ორმოცდაექვსი წლიდან დღემდე, ესე იგი იმ დღიდან, რაც ერთ მშვენიერ დღეს საქართველოს ანა კალანდაძის თხუთმეტი შედევრი ერთად შეეძინა, იმდენი თქმულა საერთოდ და მეც, პირადად, იმდენი მითქვამს ქალბატონ ანაზე, რომ ამჟამად, როცა ჩვენი სასიქადულო დის დაბადების დღეს ვზეიმობთ, შეუძლებელია რაიმე ახლის თქმა და უხერხული არ იქნება, ალბათ, ზოგი რამ ძველიც გავიმეოროთ...

„ვწერ და ვშლი, ვწერ და ვკითხულობ, ხმამაღლა ვფიქრობ შენზე, დაო ანა, შენს სპეტაკ სულზე, შენს უჰკნობ სამუდამო ქმნილებებზე, — უზღვავ საგანძურზე, რომლის ტოლფასი არ ახსოვს ჩემს ქვეყანას დედაკაცისაგან დანატოვარი. სიტყვაშეუბრუნებელ შენს სახელს დღეს ისინიც პატივით იხსენიებენ, ვისაც გაცნობიერებული არა აქვს შენი სიდიდე... რა დავსძინო თქმულს?! რა უნდა გითხრა დღეს შენს საუნჯეზე?! შენ ძლიერი მამაკაცების გვერდით დგახარ თავაწეული და დედაკაცობის გამო შეღავათი არავისთვის გითხოვია“...

ათას ცხრაას სამოცდათოთხმეტ წელს, ათი წლის წინათ გახლავთ დაწერილი ეს პირუთვნელი სტრიქონები...

არც მეთერთმეტე და არც მეთორმეტე, არც მეთვრამეტე და არც მეცხრამეტე საუკუნის პოეტებს ჰყოლიათ ანა კალანდაძე. „პოეტების დაი — მგალობელი ანა“, ვწერდი მე ანა კალანდაძის გამოჩენისთანავე, ათას ცხრაას ორმოცდაშვიდ წელს, ლამის ორმოცი წლის წინათ. მხოლოდ ჩვენ, მეოცე საუკუნის პოეტებს გვყავს ქალბატონი ანა. მხოლოდ ჩვენ, მეოცე საუკუნის პოეტებს გვხვდა წილად დავმშვენებულიყავით ანა კალანდაძის მშვენიერებით...

მაგრამ ანა კალანდაძემაც იცის თავისი საუნჯის ფასი:

„ჩემი ზურმუხტი,
ჩემი ძოწი, ჩემი ბივრილი
ხელყოფისაკენ
წააქეზებს ზოგიერთ
გვამებს,
ამიტომ მე მათ
მოვიხილავ მთვარიან
ღამით,
რომ მათის ხილვით
დავიამო გულისტკივილი...“

ანა კალანდაძე დგას იქ, იმ სიმაღლეზე, რომელს შური ვერ შესწვდება. მაშ, მივართვათ ყვავილი, მივულოცოთ დღეის დღე, მივულოცოთ რუსთაველის პრემია და ათასი სიხარული ვუსურვოთ.

მურმან ლებანიძე.

სიწმინდის ნათელი

ყველა დროში განუსაზღვრელი იყო ჭეშმარიტი პოეზიის ფასი. ადამიანი მასში ხედავდა მაღალი აზრისა და წმინდა ოცნებების ნავსაყუდელს, მას მიაშურებდა, რათა წუთისოფლის ათასი საზრუნავით დამძიმებულს შვება ეპოვა.

დღეს ჭეშმარიტი პოეზიის ის განუსაზღვრელი ფასი კიდევ უფრო გაიზარდა. მსოფლიოს გლობალური მოვლენებით შეშფოთებული ადამიანის სული, ათასი წვრილმანით დაქუცმაცებული ფიქრები მეტი სიმძაფრით, გაღრმავებული წყურვილით ელტვის პოეზიის სიმაღლეს. ადამიანმა იგრძნო და აღიარა, არასდროს ასე რომ არ დასჭირვებია მის სულს პოეზია. გამომდინარე აქედან, იზრდება პოეზიის პასუხისმგებლობა ადამიანის ბედისათვის. მასშტაბური მსოფლიო მოვლენებისა და ტექნიკური რევოლუციების ეპოქაში მან უნდა დაიცვას ადამიანის სული მოსალოდნელი გაუხეშებისაგან. ეს კი უდრის საერთოდ ადამიანის გადარჩენას.

რამდენს აკეთებს ამ თვალსაზრისით თანამედროვე ქართული პოეზია! კლასიკური — თავისთავად! მაგრამ თანამედროვეს ვამბობ საგანგებოდ, რადგან დღევანდელი ადამიანი მისი ვნებებისა და მისწრაფებების გაცხადებას ეძებს პოეზიაში, ეს კი თანამედროვე ქართულმა პოეზიამ უნდა შეიძლოს. სხვაგან ვერსად იპოვის ქართველი კაცი პასუხს მის სატკივარზე, მისი სადღეისო სულისკვეთებისა და განწყობილების უკუფენას, კონკრეტულად მისი დროის შესაფერის შინაარსს. მარადიული თემებისა და სათქმელის გათავისება იმ საკუთარის გავლითღა შეიძლება. დღეს ნათქვამი პოეტური სიტყვაც ამ კონკრეტული გზით უერთდება კლასიკას.

სულ უფრო ღრმავდება თვალსაჩინო ქართველი პოეტების შემოქმედებაში წყურვილი მეტი სისავსით გამოხატონ დრო, რომელშიც ვცხოვრობთ, პოეზიის ენაზე აამეტყველონ ადამიანის ურთულესი სულიერი მოვლენები, მსოფლიოს შეცვლილმა, დაძაბულმა ცხოვრებამ რომ აამოძრავა, ის ახალი სიღრმეები, რომლებიც აქამდე არც შეიმჩნეოდა და რომელთაკენ გზა სწორედ დღევანდელი ცხოვრების შინაარსმა გახსნა. უფრო მაღალი, უფრო მომცველი, უფრო დიადი მიზნები, პრობლემები და მისწრაფებანი, — აი, საითკენ მიილტვის ქართული პოეტური ფენომენი უნიჭიერესი ქართველი პოეტების შემოქმედებაში.

ეს მძაფრი ლტოლვა უკვე შექმნილმა დაბადა. ღონიერი, გამოლილი ნაბიჯებით აქვს მოპოვებული დიდი სივრცე ქართულ ლექსს, მაგრამ მის ცეცხლს დაცხრომა არ უწერია.

როდესაც პოეზიის განსაკუთრებულ დანიშნულებასა და სადღეისოდ გაზრდილ მის პასუხისმგებლობაზე ვლაპარაკობთ, ერთი წამითაც არ უნდა ვიგულისხმოთ ზოგადი დაჩივლება. ყველგან, დედამიწაზე, და ცხადია, ჩვენს სამშობლოშიც, ყველაფერი დამოკიდებული იქნება იმაზე, შეუნარჩუნებს თუ არა პოეზია ადამიანის სულს სინედლეს, სინატიფეს, ამაღლებულობას, რომანტიკას, მშვენიერებას, სიყვარულს... რადგან სწორედ ამ თვისებებს ემუქრება რაღაც დიდი, უხეში ძალა, და ამასთან მხოლოდ ადამიანის სულის თვისებებს: სინედლეს, სინატიფეს, ამაღლებულობას, რომანტიკას, მშვენიერებასა და სიყვარულს შეუძლია გადაარჩინოს კაცობრიობის მომავალი, მაგრამ ჯერ თავად ამ თვისებებს უნდა გადარჩენა, ოდინდელი ძალმოსილების შენარჩუნება.

ანა კალანდაძის პოეზია ამ ურთულეს დანიშნულებას ემსახურება. იგი უნიჭიერეს ქართველ პოეტებთან ერთად მთელი არსებით იწვის, თანდათან იფერფლება, რათა სინათლე შორეულ სიღრმეებს მიუწვდინოს, რაც შეიძლება მეტი სივრცე გაანათოს, მიეშველოს ადამიანს.

„უნიჭიერესი ქართველი პოეტები“ სიტყვას არ მოჰყოლია. ყოველი ჭეშმარიტი ტალანტი ინდივიდუალურია, მაგრამ მათი თანაარსებობა დამატებით ქმნის თუ წარმოშობს ახალ ერთეულს, ეს თანაარსებობა უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე ინდივიდთა უბრალო ჯამი შეიძლება იყოს. სასიხარულოა, როცა ქვეყანა მხოლოდ ერთ პოეტს არ შესციცინებს. ქართული პოეზიის საუკეთესო წარმომადგენლებმა შორს უწვდინეს ქართული სიტყვა, კიდევ ერთხელ აგრძნობინეს ქვეყნებსა და ხალხებს განსაკუთრებული მადლი ეროვნული ქართული პოეზიისა. მათ გამოიტანეს პოეტურ ენაზე სწორედ დღევანდელი ადამიანის სათქმელი, განწყობილება, სულისკვეთება. შეგვაგრძნობინეს ეროვნული ენერგიის დაუშრეტელობა.

მათი ძლიერი ვნებების, დაუცხრომელი პოეტური აზროვნების გამომხატველ ხმებს შორის ირხევა ანა კალანდაძის გამჭვირვალე, კამკამა პოეტური ხმა.

ისე მჭიდროდ არის დაკავშირებული ანა კალანდაძის პოეზია ეროვნულ პოეტურ საწყისებთან, ისე საგრძნობია ეს დაკავშირება, რომ ზედმეტიც კია მისი ტრადიციულობის სერიოზული მტკიცება. ისე თავისთავადია მისი პოეტური ხმა, თავისთავადი და განუმეორებელი, რომ გავლენებს ხელი არ მიუწვდება. ეროვნული ფესვები მხოლოდ ივარაუდება, იგულისხმება თავისთავად! მისი წყალობით ახალი პოეტური ქვეყანა იბადება, საკუთარია აქ ყველაფერი და იმდენად ახალი, რომ გრძნობთ, როგორ აკლდა ანა კალანდაძის პოეტური ხმა ქართულ ეროვნულ პოეზიას. ჭეშმარიტი ნიჭი ყოველთვის ახალ განცდას ბადებს.

ჩემო ჭრუჭულავ, ღვთაებრივს
მთაზედ,
თოვლისფერ ფაფუკ
ღრუბლებს რომ ერთვის,
ვარსკვლავი ბრწყინავს ასე
ხაამოდ,
თუ წმინდა მამებს უნთია
ზეთი?

ამ სტრიქონებით მინდა მოვაგონო მკითხველს ის სიანკარე, ანა კალანდაძის პოეზიაში რომ დგას, მოვაგონო, რათა ერთხელ კიდევ მთლიანობაში გაიაზროს სულიერი სიწმინდის ის საყოველთაობა, რომელიც კიდით კიდემდე მსჭვალავს პოეტურ ქვეყანას. თუ ამ უმთავრეს ნიშანს ბოლომდე არ გავიცნობიერებთ, პოეტის ქვეყანა შეუღწევადი დარჩება ჩვენთვის.

ანა კალანდაძე გამორჩეული ყურადღებით ეკიდება საკუთარი შემოქმედების ამ თვისებას. ადამიანის სულის სიფაქიზე მისთვის ყველაფერია. კაცის რაობის განმსაზღვრელი ეს თვისება მის პოეზიაში საგანგებოდ არის დატვირთული. იგი ვლინდება ყოველ ლექსში — ფაქტობრივად ანა კალანდაძის პოეზია — ეს გახლავთ უწმინდესი და უფაქიზესი სულის შეხება გარემომცველ სამყაროსთან. დაუძლეველია სიწმინდის ადამიანური არსი! აი, იმედი, რომელსაც ანა კალანდაძის ლექსი ბადებს. ადამიანი მაღალია მხოლოდ სულიერი სიწმინდით და სიფაქიზით, და რაოდენ მაღალია, ამას კიდევ ერთხელ, სულ თავისებურად გაგრძნობინებთ ანა კალანდაძის პოეტური სიტყვა! მხოლოდ ასეთი სიწმინდის მატარებელს შეუძლია გაიხაროს საკუთარი ქვეყნის შეუდარებელი სილამაზით, როგორც ზღაპრულ სამყაროში მოხვედრილმა ბავშვმა.

მხოლოდ ამ სიწმინდის მატარებელ სულს შეუძლია სრულყოფილი ბედნიერების განცდა საშინელ მტერზე გამარჯვებისას.

ანა კალანდაძის პოეზიაზე უსაზღვროდ შეყვარებულ მკითხველს შემჩნეული ექნება, რაოდენ პოეტურია ყოველი თემა მის შემოქმედებაში, როგორი ბუნებრივი, მახლობელი გამხდარა ისინი. ის ბედნიერი შემთხვევაა, როცა ლექსის საგანი თითქოს არ იგრძნობა, ჟღერს მხოლოდ პოეზია და სათქმელიც ჩვენამდე იმ მაღალ პოეზიას მოაქვს. რაოდენ ზემოქმედია ასეთი მოქალაქეობრივი პოეტური სიტყვა, რა შეუმჩნევლად შემოჰყავს ჩვენში დრო, ამკვიდრებს განწყობილებას, ქმნის ძალდაუტანებელ დამოკიდებულებას. უფრო მთავარია პოეტისაგან საკუთარი მოქალაქეობრივი პოზიციის დადგენის ხარისხი, ამ პოზიციის გამოხატვის უაღრესად პოეტური ფორმა. რამდენი ლექსი აქვს პოეტს დიდ სამამულო ომში გამარჯვებულ ქვეყანაზე, სამშობლოზე, ზოია კოსმოდემიანსკაიაზე, პირველ მაისზე... მაგრამ ერთხელაც არ დაგამძიმებთ თემატური ზედაპირულობის განცდა. ყოველ თემას მაღალი შინაარსი მოსდევს.

ანა კალანდაძის პოეზია განგვიმტკიცებს რწმენას, რომ ადამიანის სულის სიწმინდე შეურყვნელი და აუმღვრეველია. იგი — ეს პოეტური ხმა იმჟამ კაცობრიობის ყველაზე მძიმე გამოცდის ჟამს, როდესაც სატანის ვნება წვავდა ირგვლივ ყველაფერს, როდესაც ადამიანის მხეცური ინსტიქტები საშინელებას თესავდნენ, როდესაც გარკვევით ითქვა უიმედობის გამომხატველი სიტყვები — ადამიანი ყოველივე ამის შემდეგ ლექსის დაწერის უფლებას კარგავსო. როგორც ჩანს, დროებითი და წარმავალი ეს უიმედო განწყობილებაა! პოეტური სულის სისპეტაკე არც იმ ამღვრეულ დროში არ თმობდა თავის სიმაღლეს. ანა კალანდაძემ, ერთ-ერთმა პირველმა უნიჭიერეს პოეტთა შორის, სწორედ მძიმე ჟამს გამონათა პოეზიის შეუმღვრეველი ნაკადი და ყველა დაარწმუნა, რომ ადამიანის რაობის განმსაზღვრელ სულიერ სიფაქიზეს სიკვდილი არ უწერია. იგი არა მარტო გადარჩა პოეტისათვის, არამედ კატეგორიულად განერიდა ბნელს და მაქსიმალურად დაიცვა თავის შეუვალობა. რამდენს აკეთებს ამ თვისების წყალობით ანა კალანდაძის ლექსი ადამიანის სულის სიჯანსაღისათვის, როგორი მოტივებით, განწყობილებით ზრდიდა იგი თავის მკითხველს, დაუსრულებლად, თანაც შეუმჩნევლად ხვეწდა და ხვეწს ადამიანის სულს!

მან კიდევ ბევრი სიხარული უნდა მოუტანოს მკითხველს, უნდა დიდხანს იბრძოდეს ადამიანთა სულში სიწმინდის დამკვიდრებისათვის. ეს კი მომავლისათვის ბრძოლაა!

ჯანსუღ ღვინჯილია.

წყავის ფოთოლი

რა ხანია არსებობს ეს ცა, ეს ზღვა, ეს მზე, ეს ტყე და კიდევ ბევრი, ძალიან ბევრი რამ.

უთვალავი თვალი უმზერდა და უმზერს ყოველივე ამას.

მაგრამ ესე ყოველი არავის უხილავს ისე, არავის უგრძვნია ისე, არავის უთქვამს ისე, ვითარცა იხილა ანამ, ვითარცა იგრძნო ანამ, ვითარცა გამოთქვა ანამ (ლაპარაკია ხილვის, შეგრძნებისა და გამოთქმის თავისებურებაზე და არა სწორუპოვრობაზე);

შენ ისე ღრმა ხარ, —
ქართულო ცაო,
შენ ისე ღრმა ხარ...

* * *

თავგამოდებით გალობდა შაშვი
და სხივთა მთოვარს
ეთხოვებოდა მზეს ნაძვის წვერი.

* * *

ზღვას — ალერსიანს,
მობუბუნეს სიხარულს
ვთხოვდი...
ხელს მილოკავდა და
თვალებით იმასვე მთხოვდა!

* * *

აქ იდგა სამად სამი ხე წყავის...
სადღა არიან მთვარით სავსენი?

ყველასგან განსხვავებულია თვალი ანასი.
ყველასგან განსხვავებულია გული ანასი,
ყველასგან განსხვავებულია ხმაი ანასი;
ზედმიწევნით მახვილია თვალი მისი,
ზედმიწევნით ფაქიზია გული მისი,
ზედმიწევნით ნატიფია ხმაი მისი.

როცა ანას ვკითხულობ, — ერთი მისი სტრიქონი მაგონდება ნიადაგ: „წყავის ფოთოლი, ნამს რომ ფრთხილად ინახავს, თრთოლვით“...

მაგონდება იმიტომ, რომ წყავის ამ ფოთოლს, „ნამს რომ ფრთხილად ინახავს, თრთოლვით“, ძალიან ჰგავს ანა კალანდაძის ლექსი, მისი დამოკიდებულება სიტყვასთან.

ისე ზუსტად, ისე დაიაზებითაა შერჩეული მასთან ყოველი სიტყვა, ადგილი ყოველი სიტყვისა, საკმარისია თუნდ ერთი მათგანის გადაადგილება (შეცვლაზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია), რომ მთელი ლექსი წახდეს.

მშობლიური ენის სულზეა მორგებული ანა კალანდაძის ხმა, რაც ყოველ დროში და ყოველ ქვეყანაში იყო და არის ლექსის უკვდავების საწინდარი.

მუხრან მაჭავარიანი.

სათაყვანო

ძვირფასო ანა, გილოცავ რუსთაველის პრემიას... მე ვიყავი თბილისში, როცა შენი დაბადების დღე იყო და ვერსად გიპოვე, რომ პირადად მომელოცა შენთვის და, რახან საშუალება მომეცა გაზეთის ფურცლებიდან მოგეფერო, მე ამითაც ბედნიერი ვარ. აი, ვიღებ ჩემს თარგმანებს — წიგნს „სიზმრებს საქართველოზე“, ვეძებ შენს ლექსებს და კიდევ ერთხელ ვკითხულობ: „საქართველოო ლამაზო“.. „შენ ისე ღრმა ხარ ქართულო ცაო“... ეს ჩემი ადრეული თარგმანებია, არა ისეთი, შენს დიდ პოეზიას რომ შეეფერება, მაგრამ მე მაინც ვამაყობ ამ ღარიბული თარგმანებით.

მე ვლოცავ იმ დღეს, როდესაც ჩვენთვის, ორივესათვის ასე ძვირფასმა სიმონ ჩიქოვანმა შენი თავი გამაცნო, მერე კი შენი პოეზია გავიცანი და კიდევ ერთხელ ვიწამე უკვდავება ქართული პოეტური გენიისა. მე ხშირად ჩამოვდივარ თბილისში; აქ ბევრი რამ შეიცვალა ჩვენი გაცნობის დღიდან, მაგრამ შენ დარჩი უცვლელი, ყველა თაობისათვის სანეტარო, როგორც ქართული ჩუქურთმა.

მაინც რა საოცრად შენივთებულა შენს პოეზიაში ქართული სულის სიწმინდე, სიდარბაისლე, ყოველივე ის, რისთვისაც ასე შემყვარებია თქვენი განუმეორებელი მიწა-წყალი... და მე ბედნიერი ვარ, რომ აქ, ამ მიწა-წყალზე დადის ჩემთვის სათაყვანო ადამიანი. ნეტამც, დიდხანს გამოგრძელდეს ეს ბედნიერება.

ბელა ახმადულინა.

ის გაზაფხული!..

ანა კალანდაძეს

— წავიდეთ სადმე, —
თქვა ერთხელ ანამ!
ჩემი სურვილიც
წრფელად გავანდე;
— წინამურისკენ
კარგია გავლა!
... წავიდეთ სადმე,
წავიდეთ სადმე...
— წავიდეთ სადმე, —
ინატრა ანამ
და არჩევანის
კენჭი ავაგდეთ;
— ბეთანიისკენ
თუ ბეთლემისკენ!
... წავიდეთ სადმე,
წავიდეთ სადმე.

ნანა ღვინეფაძე.

დიადემა

ბედნიერია ჩვენი მიწა, ბედნიერია საქართველო გუშინდელით, დღევანდელით, ხვალინდელით. „აქ დაიბადა „სულიკო“, მზისკენ გაფრინდა „მერანი“... და თუნდაც გადმოსულიყო მტერო შმაგი და ვერანი, მარჯვენს მოსჭრიდა ალუდა, სით გაუშვებდა ლელაო?“.

აქ დაიბადა „სულიკო“, აქ დაიბადა ანა კალანდაძე, დიდი ქართველი პოეტი ქალი, ცით მობრძანებული სხივი მშვენიერი.

ძვირფასო ანა, ქუხს და მძვინვარებს მდინარე, რომლის ტალღებსაც მიაპობს შენი მართალი სიტყვა. იქნებ, სიტყვა ვერ მიაპოვია? იქნებ, კი არ მიაპობს, არამედ სულაც იმ ტალღებიდან აღმოცენებულან შენი ყვავილები და მოუხითავთ საქართველოს ველები? ასეა თუ ისე, დღეს, ამ გაზაფხულის პირს, განსაკუთრებული სურვილი მაქვს, რომ მოგეფერო და სიყვარული გამოგიცხადო. სიყვარული, რომელიც ასე საქვეყნოდ არასოდეს გამიმხელია.

ჩავლილი წლები რა მოსალოცია? რასაც ვუახლოვდებით, ან ის რა მოსალოცია? მე შენ, ძვირფასო ქალბატონო, ყველაზე უზენაესსა და ეროვნულ ჯილდოს, რუსთაველის პრემიას გილოცავ. იგი დიადემასავით მოუხდა შენს შესანიშნავ პოეზიას, შენს ქართველქალობას.

დიდხანს იყავი ჩვენს საძმოში, ჩვენს სადროშოში.

„მზე იცინის, ვარდფურცლობის დარია და შენს ქოხთან გუგუნია თელების“...

ჯანსუღ ჩარკვიანი.

მუზა სახვალიო სიმღერებისა

დღევანდელი ნომრის სტუმარი

ვსაუბრობთ, იმ ცნობილ ამბავს ვიხსენებთ, თითქმის ორმოცი წლის წინანდელს: თუ როგორ წაუღო ერთმა შორეულმა ნათესავმა ანა კალანდაძის ლექსებით სავსე რვეული დიმიტრი ბენაშვილს, როგორ გააცნო აღფრთოვანებულმა კრიტიკოსმა იგი სიმონ ჩიქოვანს და მერე, ერთ დღეს, რა სიხარული იდგა ამ ლექსების კითხვისას მწერალთა კავშირის სხდომათა დარბაზში.

ეს ჭეშმარიტი პოეტის აღმოჩენით გამოწვეული სიხარული იყო. მალე ეს სიხარული მთელმა საქართველომ გაიზიარა, როდესაც „ლიტერატურულ გაზეთში“ დაიბეჭდა ანა კალანდაძის ლექსები...

— თქვენ სამწერლო გზის დასაწყისს ხომ არაფერს დაუმატებთ, ქალბატონო ანა?

— ახალგაზრდა შემოქმედისათვის, ალბათ, უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმას, ვინ შეხვდება გზის დასაწყისში (უფროს თაობას ვგულისხმობ). ათასჯერ მითქვამს და ახლაც გავიმეორებ: ჩემთვის მარად დაუვიწყარი იქნება დიმიტრი ბენაშვილის, სიმონ ჩიქოვანის, გიორგი ნატროშვილის, ალექსანდრე აბაშელის, პოლიკარპე კაკაბაძის, აკაკი გაწერელიას გულისხმიერება. ბატონი სიმონი მაინც რა კაცი იყო! სულ სხვის გახარებას ცდილობდა, მხოლოდ ლიტერატურის ინტერესებით ცხოვრობდა. გაფაციცებით ადევნებდა თვალს, ვინ რა დაბეჭდა საინტერესო... სალიტერატურო კრიტიკამაც დამიჭირა მხარი... ჰოდა, ასეთი ხალხი შემხვდა, თორემ შეიძლება ჩემი ლექსების არსებობა კიდევ კარგა ხანს არ სცოდნოდა არავის.

— მანამდე არავინ იცოდა?

— სკოლის პერიოდში ქუთაისში (იქ ცხოვრობდა ჩვენი ოჯახი, ისე კი ჩოხატაურიდან ვართ, ხიდისთავიდან), ზოგიერთებს გაგებული ჰქონდათ, რომ ლექსებს ვწერდი, ხოლო თბილისში უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის კავკასიური ენების სპეციალობა — ლინგვისტიკა ისე დავამთავრე, რომ მეგობრებმა და პედაგოგებმა ჩემი პოეტობის არაფერი იცოდნენ.

— ამბობენ, რომ ლინგვისტიკამ გავლენა იქონია თქვენს შემოქმედებაზე...

— ენობრივი თვალსაზრისით მართლაც ბევრი რამ მომცა სპეციალობამ. უნივერსიტეტში უკვე მეორე კურსიდან ძველ ქართულს, ცხადია, ძველი ძეგლების მიხედვით ვსწავლობდით. საენათმეცნიერო ლიტერატურა ჩემს ფანტაზიას დიდ გასაქანს აძლევდა, სულ სხვა სამყაროს მიხსნიდა...

— დებიუტის შემდეგ თქვენ კარგა ხანს დუმდით და მერე კი „ფშავური მოტივების“ სახით სრულიად ახლებური ლექსების ციკლი შემოგვთავაზეთ. რამ გამოიწვია ეს?

— 1955 წელს დიალექტური ლექსიკის მოსაპოვებლად ფშავში მიგვავლინეს ენათმეცნიერების ინსტიტუტიდან. მოვინდომე თავის კილოზე შევხმიანებოდი ფშავხევსურეთს. რა თქმა უნდა, სხვანაირადაც შემეძლო, მაგრამ ვცადე, რა გამოვიდოდა... აი, ეს იყო სულ იმ ლექსების შექმნის მიზეზი. ბევრი სასიამოვნო გამოხმაურება მივიღე ფშავ-ხევსურეთიდან.

• • •

ანა კალანდაძის მთელი შემოქმედება უსაჩინოესი მაგალითია იმისა, თუ როგორ ვერაფერს აკლებს დრო ნაღდსა და ჭეშმარიტს. მის ლექსებში დარღვეულია ცნება „ქალი პოეტი“, აქ უნაზეს, უწმინდეს ოცნებათა სამყაროს, ვაჟკაცური აკორდები ენაცვლება და „საქართველოო ლამაზოს“ ავტორს თაობათა უსაყვარლეს მგოსნად აქცევს. აბა, ნახეთ, თავად განსაჯეთ: „ლამის სახლში შემოვიდეს თუთა, ლამის წელზე შემომხვიოს ხელი“... „პაპის მონაცემი, მარად საოცნებო, კარმიდამო ჩემი დამილოცეთ, ძმებო!“ „მე ლამაზი მეგობარი მყავდა, თვალუწვდენა, ნაბლისფერი თმებით“... „შენს ლურჯ მწვერვალებს, თოვლი რომ ფარავს, თერგს და დარიალს, ჩემო ქვეყანავ, დიდება მარად, მრავალჟამიერ!“, „მებაღეო, ნუ დამტოვებ მარტო, მეშინია, პაწაწინა რტო ვარ!“, „თუ დავიხრჩვები, ღვინომ დამახრჩოს, ვგავდე ყაყაჩოს სათისხალიანს“... „შენ ისე ღრმა ხარ, ქართულო ცაო, შენ ისე ღრმა ხარ“... და ასე, კიდევ რამდენი... ამ სტრიქონებს ხშირად ჩვენი შვილებიცა და შვილიშვილებიც იმეორებენ, სულს ისპეტაკებენ, ისინი კი მოგეხსენებათ, ოცდამეერთე საუკუნის მოქალაქეები არიან და, დარწმუნებული ვარ, იმ საუკუნეში სულის საგზლად, „დროს გადარჩენილთა“ გვერდით ანა კალანდაძის პოეზიასაც გაიყოლებენ...

აი, ბედნიერება პოეტისა!

მაინც რამ გახადა ანა კალანდაძის პოეზია ჩვენთვის ასე ახლობელი? ისევ და ისევ ქართულმა კლასიკურმა ლექსმა, რომელიც საფუძვლად დაედო პოეტის დიდ ნიჭსა და ნოვატორულ აზროვნებას. თვითონ აღიარებს ამას:

— ჩემთვის ლექსში მუსიკა, მელოდიაა მთავარი. ჩემი მასწავლებლები ჩვენი კლასიკოსები არიან, რომლებიც ლექსის რიტმსა და რითმას უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდნენ...

— როგორ ფიქრობთ, დღეს როგორ გვაქვს ამ მხრივ საქმე?

— მე მგონი, საგანგაშო არაფერია, ბევრი ახალგაზრდა პოეტია ასეთი ლექსის ერთგული... საერთოდ კი, გეტყვით, რომ მე ახალი თაობის დიდი იმედი მაქვს.. ეთერ თათარაიძეს იცნობთ?

— დიახ.

— საინტერესო გოგონაა, ხალასი ნიჭი...

— ქალბატონო ანა, გვითხარით, როგორ მუშაობთ.

— ლექსზე დიდხანს ვფიქრობ, შემიძლია სხვადასხვა ვარიანტიც შევქმნა ჩემთვის, გონებაში, წავშალო კიდეც და სხვა სტრიქონით შევცვალო... მერე გადამაქვს ქაღალდზე. გრძელი ლექსები არ მაქვს და დასამახსოვრებლად ადვილია...

— ერთხელ ანდრია ვოზნესენსკიმ თქვა: თითქმის არასოდეს არ ვჯდები სახელდახელოდ ლექსის საწერად, ვთქვათ, თბილისში შევქმნა იგი გონებაში, მოსკოვში ზუსტად გადავიტან ქაღალდზე, ყველა ჩემი ლექსი ზეპირად ვიციო...

— მჯერა!..

— ქალბატონო ანა, ამ დღეებში ბევრი სასიხარულო გაქვთ: რუსთაველის პრემიის მონიჭება, დაბადების დღე, ახალი კრებულის გამოცემა, აგერ, გაზაფხულის დადგომა და 8 მარტი...

— სასიხარულო მართლაც არის, რუსთაველის ქვეყანაში რომ მისი სახელობის პრემიის ღირსი გახდე. მე დიდი მადლობელი ვარ ყველასი, ვინც ასე დამაფასა. ჩემი საყვარელი გაზეთის „კომუნისტის“ მადლობელი ვარ, რომელმაც რუსთაველის პრემიაზე წარმადგინა. მადლობელი ვარ ჩემი მურმან ლებანიძისა, რომელმაც ამდენი შრომა გასწია და მე არაფერი გამიგია, ისე გამოსცა ჩემი ლექსების ახალი კრებული... რაც შეეხება გაზაფხულს და 8 მარტს ყველა ქალს ვულოცავ მის მობრძანებას, ღიმილი და ბედნიერება არ მოჰკლებოდეთ, მარად დამტკბარიყვნენ უწმინდესი პოეზიით.

• • •

„წმიდათაწმიდა არს ჩემი ლოცვა!“ — ამბობს ერთგან ანა კალანდაძე. ეს ლოცვაა ყოველივე ამაღლებულისადმი, დედასამშობლოსადმი. თამამად შეიძლება, ეს სიტყვები მთელ მის შემოქმედებას წავუმძღვაროთ.

სამშობლოც ათასგზის ლოცავს პოეტს, შარავანდედად ადგას მისი მზე, როგორც მუზა სახვალიო სიმღერებისა.

ვ. მარდალეიშვილი.

უნატიფესი განძი

ჩვენმა ძვირფასმა პოეტმა დღეს იმ ასაკობრივ სიმაღლეს მიაღწია, საიდანაც, ალბათ, ხელისგულივით მოჩანს განვლილი ცხოვრება. ბედნიერია ადამიანი, რომელსაც შეუძლია საკუთარ ცხოვრებას გაუსწოროს თვალი. ანა კალანდაძე ასეთ ბედნიერ ადამიანად მიმაჩნია. მისმა პოეზიამ ჩვენი ხალხის სულის წიაღიდან გამონათა და მერე თავად ხალხმა, როგორც ხელისგულებს შორის მომწყვდეული ციცინათელა, ისე ატარა ეს უნაზესი და უნატიფესი განძი.

ანა კალანდაძე ყოველთვის ხალხის სიყვარულით იყო გარემოსილი და ამითაც განსაკუთრებულად ბედნიერი შემოქმედია. არ არსებობს ხალხის სიყვარულზე უფრო საიმედო ჯავშანი. ის ათამამებს პოეტს, ძალას მატებს, რათა მტკიცედ იდგეს არჩეულ გზაზე და, რაც მთავარია, ღირსეულად ემსახურებოდეს თავის მშობელ ხალხს.

ანა კალანდაძის შემოქმედება იმდენად ემოციურია, შეიძლება ვინმეს ეგზალტაციის ჟამს გულიდან ამომსკდარ ლოცვად მოეჩვენოს, მით უმეტეს, რომ დღეს პოეტი უძველესი ქართული ჰიმნოგრაფიის ტრადიციას აგრძელებს. მისი ლექსიდან ჩვენს დღევანდელობაში გადმოდის მელოდიურობა საგალობლებისა, რომლებიც არსებითად ამეტყველებული ფიქრია, გულისთქმაა, აღსარებაა საკუთარი სინდისის წინაშე მარტოდ დარჩენილი ადამიანისა. მაგრამ სინამდვილეში, ისევე როგორც ძველი საგალობლები, ანა კალანდაძის პოეზიაც მაღალი ხელოვნების, პროფესიონალიზმის ნიშნითაა აღბეჭდილი. ამდენად, ეს უფრო ემოციური ლოგიკაა, თუ გნებავთ, ემოციური წესრიგი, ერთგვარი „ემოციების სპექტრია“, სადაც ისეთივე დიდებული სიმარტივითა და კანონზომიერებითაა წარმოდგენილი სიტყვები, როგორც ფერები — ცისარტყელაში.

ანა კალანდაძის შემოქმედება კიდევ ერთხელ გვახსენებს იმ აზრს, რომ ტრადიციის გაცოცხლებაც უკვე ნოვატორობაა.

ერთ მეტად ცნობილ მწერალზე უთქვამთ: იმას კი არ წერდა, რაც ხალხს უნდოდა, არამედ, იგივე უნდოდა, რაც ხალხსო. შესანიშნავი სიტყვებია, მედროვე, პოპულარობის მაძიებელი კალმოსნებისაგან რომ ასხვავებს ნამდვილ მწერალს. ეს სიტყვები შეიძლება ანა კალანდაძის მისამართითაც გავიმეოროთ.

თამაზ ჭილაძე.

სიყვარულის გამხელა

თბილისის ა. ხორავას სახელობის მსახიობის სახლში გამართულ შეხვედრას არა მარტო ანა კალანდაძის ლექსის ჯადო სურნელი, არამედ თავად პოეტის ქალური კდემაც შვენოდა.

პოეტს დაბადების დღის და რუსთაველის სახელობის პრემიის მინიჭებას ულოცავდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის კოლექტივი, ინსტიტუტისა, სადაც სამ ათეულ წელზე მეტია იღვწის ანა კალანდაძე.

ამიტომაც იყო ასე გამორჩეულად უშუალო და თბილი ეს შეხვედრა, რომელიც შესავალი სიტყვით გახსნა ინსტიტუტის დირექტორმა, აკადემიკოსმა ქ. ლომთათიძემ. პოეტის შემოქმედებაზე ისაუბრეს ლექსიკოლოგიის განყოფილების გამგემ მ. ჭაბაშვილმა, ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა ა. არაბულმა.

მერამდენედ ატკბობდა სმენას „საქართველოო ლამაზო“, „თუთა“, „პაწაწინა რტო ვარ“. ანას ნიჭით ნასათუთებ სტრიქონებს კვლავ მოჰქონდათ განუმეორებელი სითბო და სინაზე, სიძველისადმი მოწიწება და სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარული. — ანა კალანდაძის პოეზიაში სამშობლოს სიყვარული განცდილია ისეთ ეთიკურ მრწამსად, როგორც ეს შეეფერება ერთი მხრივ მსოფლიო ცივილიზაციის წიაღში შობილს, მეორე მხრივ კი მრავალსაუკუნოვანი ისტორიისა და კულტურის მქონე ხალხის ღირსეულ შვილს — აღნიშნა ინსტიტუტის ქართული მეტყველების კულტურის განყოფილების გამგემ შ. აფრიდონიძემ.

პოეტისადმი აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავას მისალმება წაიკითხა ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა ვ. შენგელიამ.

ანა კალანდაძეს ღირსსახსოვარი დღე მიულოცეს მწერლებმა რ. ჯაფარიძემ, მ. მაჭავარიანმა, ჯ. ჩარკვიანმა, გ. გეგეჭკორმა, მ. ქურდიანმა და სხვებმა.

ბოლოს კი თავად იუბილარი წარდგა დამსწრეთა წინაშე და ჩვეული თავმდაბლობით გადაუხადა მადლობა მისი პოეზიის თაყვანისმცემლებს.

ლ. კილაძე.

ჩემი ახალგაზრდობის ერთი სიხარული

ჩემს თაობას კარგად ახსოვს ანა კალანდაძის სამწერლო ასპარეზზე გამოსვლა. გვახსოვს საზოგადოების, განსაკუთრებით ახალგაზრდობის აღფრთოვანება, ანა კალანდაძის ლექსების პირველმა გამოჩენამ რომ გამოიწვია.

როდესაც მწერალთა სახლში ანა კალანდაძის ლექსების პირველი საჯარო კითხვა-განხილვა მოეწყო, დარბაზმა დასწრების მსურველთა მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი დაიტია. ყველანი სულგანაბული უსმენდნენ ქართული მწერლობის აღიარებულ წარმომადგენელთა აღფრთოვანებულ სიტყვებს, დროდადრო კი ახალგაზრდები ადგილებიდან ანას ლექსებს ან მისი ლექსების ნაწყვეტებს კითხულობდნენ. ამით თითქოს ორატორებს ეხმარებოდნენ, სინამდვილეში კი ასე გამოთქვამდნენ თავიანთ გულისნადებს. ყოველი ჩვენგანი თავის სასიამოვნო ვალად თვლიდა ზეპირად სცოდნოდა ანა კალანდაძის რამდენიმე ლექსი მაინც, ამით ჩვენ თავს ვიწონებდით.

ისეთი სასიხარულო მოვლენა ცხოვრებაში, როგორიც ანა კალანდაძის პოეზიის შემოსვლა იყო ჩვენს ყოველდღიურობაში, არ შეიძლება დავიწყებას მიეცეს. ახლაც, როდესაც ამ სტრიქონებს ვწერ, ახალგაზრდული ჟრუანტელი მივლის.

ანა კალანდაძის პოეზიაში ქართული მიწის ყივილი ისმის, ანა ქართველი სულმნათი ქალების — ნინოს, თამარის, ქეთევანის სახელით ლოცავს თავის სამშობლოს, ეფერება მის წარსულს, სიყვარულს უხსნის აწმყოს, ოცნებობს მის ბედნიერ მომავალზე, უმღერის ალავერდს და ყინწვისს, იყალთოს და გარეჯს, ქსნის ციხეს და ბეთანიას... გურიის სოფელი ჩიჩილაკებით, ქართლის გაშლილი ველები, ჯავახეთის მთები, ხევსურეთის ჭიუხები, — ყოველივე ეს მისი საყვარელი საქართველოა.

როდესაც ანა კალანდაძის ლექსებს ვკითხულობ, ასე მგონია, იგი ამ ლექსებს არ წერს, პირველად მაინც ზეპირად წარმოთქვამს. რადგან ყოველი ლექსი ერთი ამოსუნთქვით ამოფრქვეულის შთაბეჭდილებას ახდენს.

ბედნიერია ერი, რომელსაც ასეთი პოეტი ჰყავს, და მეც ბედნიერი ვარ, რომ უფლება მაქვს მივულოცო ქალბატონ ანას საიუბილეო თარიღი.

ანა კალანდაძისათვის თარიღებს მნიშვნელობა არა აქვს, მისი პოეზია სულ ახალგაზრდაა და წინ იყურება.

მდაბლად ვხრი თავს ანა კალანდაძის შემოქმედების, ჩემი ახალგაზრდობის ერთი დიდი სიხარულის, ქართველი ერის პოეტური გენიის ერთი შესანიშნავი წარმომადგენლის წინაშე და დიდხანს სიცოცხლეს ვუსურვებ მას.

მარიამ ლორთქიფანიძე.

პოეტის ახალი კრებული

ამ დღეებში შესანიშნავი საჩუქარი მიიღეს ქართული პოეზიის თაყვანისმცემლებმა — გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ 60.000 ტირაჟით გამოსცა ანა კალანდაძის ლექსების ახალი კრებული.

კრებულს, რომლის შემდგენელი და რედაქტორია მურმან ლებანიძე, ახლავს გურამ ასათიანის წინასიტყვაობა. მხატვარია გიორგი წერეთელი.

ფეხბურთი—85

ახალი სეზონი: ფიქრები, გეგმები, ამოცანები

უჩვეულოდ ადრე — გაზაფხულის პირველ დღეს იწყება უმაღლესი ლიგის გუნდების ფეხბურთელთა წლევანდელი საკავშირო ჩემპიონატი. უმაღლესი ლიგის მონაწილე თვრამეტმა კოლექტივმა უკვე დაამთავრა საჩემპიონატო მზადება და ჯერიც დადგა გამოცდისა. თუ ვინ შეძლებს დაწინაურებას და ვინ მოხვდება სახიფათო ზონაში, ამის თაობაზე საუბარი ნაადრევია, მაგრამ წლევანდელი საფეხბურთო მარათონი რომ ერთობ დაძაბული იქნება, ეს უცილოა. მით უფრო, რომ უკვე 1986 წელს უმაღლეს ლიგაში 18-ის ნაცვლად 16 გუნდი იასპარეზებს. წლევანდელი გათამაშების ახალი ფორმულით შეიძლება უკვე მეთხუთმეტე-მეთექვსმეტე ადგილებზე გამოსულ გუნდებსაც კი მოუხდეთ პირველ ლიგაში გადანაცვლება იმ შემთხვევაში, თუ ისინი პირველ ლიგაში პირველ-მეორე ადგილებზე გამოსულ კოლექტივებთან ერთად ოთხთა ორწრიან ტურნირში ვერ მოიპოვებენ უმაღლეს ლიგაში დარჩენის უფლებას. ცხადია, ეს გარემოება რთული ამოცანების წინაშე აყენებს ნებისმიერ კოლექტივს, ახალ ვითარებაში თვით ძლიერსა და აღიარებულსაც კი თითოეული ქულის მოპოვება გაცილებით გაუძნელდება. სპეციალისტთა აზრით, უმაღლესი ლიგის მონაწილე გუნდების თექვსმეტამდე შემცირებას უთუოდ დადებითი შედეგი მოჰყვება, რადგან ასეთ პირობებში ვარჯიშის უკეთესი შესაძლებლობები იქმნება, გათამაშების კალენდარიც გაცილებით რიტმული გახდება და, რაც მთავარია, ამან ხელი უნდა შეუწყოს საკლუბო ფეხბურთის დონის ამაღლებას.

წლევანდელი სეზონი იმითაც არის ნიშანდობლივი, რომ ამჯერად უმაღლეს ლიგაში ჩვენი რესპუბლიკა ფეხბურთელთა ორი კოლექტივით — თბილისის დინამოელებითა და ქუთაისის ტორპედოელებით იქნება წარმოდგენილი.

